№19(20) 17.05.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერშია:

სამბო

5 ათასი დოლარი და საგზური ევროპაში

მე-3 გვერდი

„მაქაბი“ საქართველოში

პირველი ნაბიჯები

მე-6 გვერდი

ჩემპიონატამდე სამი თვით ადრე

ფოთი 91

სამზადისი და... ლიდერი

მე-4 გვერდი

ფორმულა 1

სენა... სენა... სენა... სენა!..

მე-6 გვერდი

# ოლიმპიადისკენ ოლიმპიის გავლით!

იდეის პირობითი სახელი: ჟურნალისტურ-სპორტული ავტოექსპედიცია.

მარშრუტი: თბილისი — ოლიმპია.

დევიზი: „სპორტი, მშვიდობა, მეგობრობა“.

ინიციატორი: გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, ასოციაცია „ფალავანი“.

ქართული სპორტი საბოლოოდ და მთლიანად ჩამოშორდა საბჭოთა სტრუქტურებს და კანონიერად ესწრაფვის საერთაშორისო სამყაროში დამოუკიდებელი სტატუსის მოპოვებას. საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ მზად არიან აქტიურად ჩაებან მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში, უერთგულონ სპორტის მაღალჰუმანურ, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და როგორც სუვერენული ქვეყნის წარმომადგენლები, აღიარებენ მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების უზენაესობას.

ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, დიდ საერთაშორისო ტურნირებში საქართველოს სპორტსმენთა დამოუკიდებელი მონაწილეობა ამ ეტაპზე მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, რომელთა დაძლევა საერთო ძალისხმევით მოხერხდება. უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რათა ხმა მივაწვდინოთ სპორტულ სამყაროს, გავაცნოთ ჩვენი სამართლიანი მისწრაფება და ქართული სპორტის სახელოვანი წარსული, გავაღრმავოთ საერთაშორისო კონტაქტები.

სწორედ ეს იქნება უმთავრესი დანიშნულება ჩვენი ჟურნალისტურ-სპორტული ექსპედიციის, რომლის განხორციელება გაისისთვის გვაქვს განზრახული და ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 40 წლისთავს ვუძღვნით. საქართველოს წარგზავნილები ოლიმპიურ სარბიელზე პირველად 1952 წელს გამოჩნდნენ, სულ 9 ოლიმპიადაში იასპარეზეს და 28 ოქროს, 22 ვერცხლის, 34 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გამოვთქვამთ რწმენას, რომ ბარსელონაში თუ არა, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტული დელეგაცია დამოუკიდებლად გაემგზავრება და ამ საქმეში თავის მოკრძალებულ წვლილს ჩვენი ექსპედიციაც შეიტანს.

მაშ ასე, მუშაობას იწყებს პირველი ჟურნალისტურ-სპორტული ექსპედიციის საინიციატივო ჯგუფი. დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და პირებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ ამ მისამართზე: თბილისი, ცაგერის ქუჩა №6, ბინა 80. ტელეფონი: 88-89-98, გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.

საინიციატივო ჯგუფი



გია ახალკაცის ფოტო

ეროვნული ჩემპიონატის ვნებანი: ბურთი და თავი ერთხორც ქცეულან („ყოჩები“ — „გელათი“ 9:9)

# გოგოლაძე — ამერიკაში დავიდენკო — ევროპის გზებზე

ეს ორი ცნობა უთუოდ დააინტერესებდა სპორტის მოყვარულებს, და იქნებ სხვებსაც: ვლადიმერ გოგოლაძემ გაიმარჯვა აშშ-ში გამართულ პროფესიონალ ტანმოვარჯიშეთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში (თავისუფალ ვარჯიშში), ხოლო მისი თანამოქალაქე, თბილისელი ვასილი დავიდენკო საკმაო წარმატებით გამოდიოდა მშვიდობის ველორბოლაზე საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

სხვა დროს ასეთ ინფორმაციას იქნებ დიდი გაკვირვება არ გამოეწვია, ერთი გარემოება რომ არა: საქართველოს სპორტი ხომ გამოეყო საკავშირო სტრუქტურებს. რანაირად მოხვდნენ ჩვენი სპორტსმენები აღნიშნულ ტურნირებზე?

როგორც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ტანვარჯიშის განყოფილებაში გვითხრეს, ვლადიმერ გოგოლაძის მწვრთნელი არნოლდ კვეტენაძე ორი თვით ყოფილა მიწვეული ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან თან მოწაფეც წაიყვანა, ამიტომ სავარაუდოა, რომ მათ ისარგებლეს ამ შემთხვევით და მასპინძელთა დახმარებით გოგოლაძემ პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზა, ოღონდ მონაწილეთა დაშვების რა ნორმები იყო დაწესებული იქ, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

პროფესიონალთა ამ პირველ ჩემპიონატზე, რომელიც ლუიზიანას შტატის ქალაქ ფეირფაქსში გაიმართა, ცხადია, დაწესებული იყო ფულადი პრიზებიც. გამარჯვებული 2200 დოლარს იღებდა, მეექვსე ადგილზე გასული — 100 დოლარს. ვლადიმერ გოგოლაძემ, როგორც უკვე ვთქვით, გაიმარჯვა თავისუფალ ვარჯიშში. ფეირფაქსში აგრეთვე გამოდიოდნენ სახელმოხვეჭილი ტანმოვარჯიშეები: რუმინელები აურელია დობრე და დანიელა სილივაში, ჩინელი ტუნ ფეი, ვლადიმირ არტემოვი, დიმიტრი ბილოზერჩევი, ელენა შუშუნოვა და სხვები.

სხვათა შორის, როცა გოგოლაძე ამერიკაში ასპარეზობდა, აქ, თბილისში, მას პირმშო — ქალიშვილი შეეძინა. ვულოცავთ!

რაც შეეხება ვასილი დავიდენკოს მონაწილეობას მშვიდობის ველორბოლაში, ამის შესახებ საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ომარ ფხაკაძემ გვაცნობა: „როცა საქართველოს დეპარტამენტმა თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა, დავიდენკო იმ დროს იტალიაში იმყოფებოდა და არაფერი გაუგია. იქიდან იგი პირდაპირ წაიყვანეს მშვიდობის ველორბოლაზე ისე, რომ ჩვენ მასთან დალაპარაკება ვერ მოვახერხეთ. მან უბრალოდ, არაფერი იცის საქართველოს სპორტში მომხდარი დიდი მოვლენების შესახებ“.

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის განცხადება

1991 წლის 19 აპრილს შეიქმნა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია (სსჟა) — დამოუკიდებელი, შემოქმედებითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტებს და თავის უმთავრეს მიზნად მიიჩნევს ემსახუროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს ინტერესებს, ქართული სპორტის ამაღლებას, საერთაშორისო სპორტულ სამყაროსთან კონტაქტების გაფართოებას, დიდ სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლას.

ახალი პოლიტიკური ვითარების პირობებში შესაძლებელი გახდა ქართულ სპორტს საბოლოოდ დაეხსნა თავი საბჭოთა სპორტის ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სისტემისაგან და მტკიცედ დადგომოდა საერთაშორისო ასპარეზისკენ მიმავალ გზას. არჩევანი გაკეთებულია და დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს დიდი სპორტული ოჯახის სრულუფლებიანი წევრობა ახალ სიმაღლეზე აიყვანს საქართველოს სპორტულ მოძრაობას, ფართოდ წარმოაჩენს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ პოტენციას. რა თქმა უნდა, ამავე დროს ვითვალისწინებთ მოსალოდნელ დროებით დაბრკოლებებს და სპორტული პრესის როლს მათი დაძლევის საქმეში. საქართველოს სპორტული ჟურნალისტები მზად არიან გაერთიანებული ძალებით კვლავაც გვერდში დაუდგნენ ქართულ სპორტს დიდი მიზნისთვის ბრძოლაში, მხარი დაუჭირონ საღ აზრსა და ინიციატივას, მიუკერძოებლად და ობიექტურად ასახონ სპორტული ცხოვრების სინამდვილე. სსჟა ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით, მტკიცედ იცავს სპორტულ ჟურნალისტთა უფლებებსა და ინტერესებს, დაუშვებლად მიაჩნია „ზემოდან“ ჩარევა და უნყებრივი დიქტატი.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანასწორუფლებიან საფუძველზე აქტიურად ითანამშრომლებს სპორტულ და სხვა ორგანიზაციებთან, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შემოქმედებით კავშირებთან, იზრუნებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გაწევრიანდეს სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში და მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობას აუწყოს ქართული სპორტის სამართლიანი და კანონიერი მისწრაფება, ფართოდ წარმოაჩინოს ჩვენი სპორტის სახელოვანი ისტორია.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ძალების მობილიზებით, რესპუბლიკის მთავრობისა და დაინტერესებულ ორგანიზაციათა თანადგომით შეძლებს დასახული მიზნების განხორციელებას.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდიუმი

## ორი რეკორდიც...

„სარბიელის“ მკითხველებს უკვე გავაცანით საქართველოს მშვილდოსანთა ჩემპიონატის შედეგები, რომელიც ბათუმში, ანგისას სპორტკომპლექსზე გაიმართა, დამატებით გვინდა გაცნობოთ, რომ იქვე საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა თბილისის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ხათუნა ქვრივიშვილი, ნატო ნასარიძე და სულიკო თოფურია. ამ სამეულმა მ-1 ვარჯიშში 3841 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ძველი მიღწევა 7 წელიწადს იყო ძალაში. გარდა აღნიშნულისა, თბილისელმა მოსწავლემ ხათუნა ქვრივიშვილმა 30 მეტრიან დისტანციაზე თვით ოლიმპიური ჩემპიონის ქეთევან ლოსაბერიძის მიერ 11 წლის წინათ დამყარებული რეკორდი გაიმეორა — 350 ქულა მოაგროვა 360 შესაძლებლობიდან.

თასების თასი

ფინალი

«მანჩესტერ იუნაიტედი» „ბარსელონა“

2:1

# ეროვნული ჩემპიონატი

XI ტური

ბათუმი — ალაზანი 3:1
ცხუმი — კოლხეთი-13 1:0
ოდიში — ქუთაისი 4:2
მერცხალი — გორდა 0:3
დილა — გურია 1:1
კოლხეთი — იბერია 2:2
სანავარდო — მარგვეთი 1:1
მზიური — სულორი 4:1
სამგურალი — ამირანი 1:0
ივერია — შევარდენი-06 3:2

**დაზუსტდა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული ტურების ჩატარების თარიღები: IX ტურის მატჩები (უნდა ჩატარებულიყო 1 მაისს) 19 მაისს გაიმართება, X ტურისა (უნდა ჩატარებულიყო 5 მაისს) კი — 17 ივნისს.**

## გათამაშების ცხრილი
### მდგომარეობა 16 მაისისთვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იბერია (თბილისი) | 9 | 6 | 3 | 0 | 19:6 | 21 |
| 2. | გურია (ლანჩხუთი) | 9 | 5 | 3 | 1 | 8:5 | 18 |
| 3. | ბათუმი (ბათუმი) | 9 | 5 | 2 | 2 | 13:8 | 17 |
| 4. | ოდიში (ზუგდიდი) | 9 | 5 | 1 | 3 | 18:7 | 16 |
| 5. | გორდა (რუსთავი) | 9 | 4 | 2 | 3 | 15:9 | 14 |
| 6. | ცხუმი (სოხუმი) | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| 7. | სამგურალი (წყალტუბო) | 9 | 4 | 2 | 3 | 7:7 | 14 |
| 8. | ქუთაისი (ქუთაისი) | 8 | 4 | 1 | 3 | 10:11 | 13 |
| 9. | ალაზანი (გურჯაანი) | 9 | 4 | 0 | 5 | 11:14 | 12 |
| 10. | კოლხეთი (ხობი) | 9 | 3 | 3 | 3 | 12:7 | 12 |
| 11. | კოლხეთი-13 (ფოთი) | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 11 |
| 12. | დილა (გორი) | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | 11 |
| 13. | მარგვეთი (ზესტაფონი) | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| 14. | მზიური (გალი) | 9 | 3 | 2 | 4 | 9:12 | 11 |
| 15. | მერცხალი (ოზურგეთი) | 9 | 3 | 1 | 5 | 9:13 | 10 |
| 16. | ივერია (ხაშური) | 9 | 3 | 1 | 5 | 7:16 | 10 |
| 17. | სულორი (ვანი) | 8 | 2 | 3 | 3 | 9:13 | 9 |
| 18. | სანავარდო (სამტრედია) | 9 | 2 | 3 | 4 | 8:18 | 9 |
| 19. | ამირანი (ოჩამჩირე) | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | 8 |
| 20. | შევარდენი-06 (თბილისი) | 9 | 2 | 1 | 6 | 16:16 | 7 |

# თბილისელები აპროტესტებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ერთდროულად ორი პროტესტი შეიტანეს თბილისის გუნდებმა. „იბერია" აპროტესტებს მატჩს ხობის „კოლხეთთან", რომელშიც მათი აზრით მსაჯმა ორივე ტაიმი დროზე ადრე დაასრულა. „შევარდენი-06" უკმაყოფილოა იმით, რომ ხაშურში „ივერიასთან" მატჩს ორგანიზაციული მხარე არადამაკმაყოფილებელი იყო, რის გამოც მსაჯი მასპინძელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ტენდენციურად სჯიდა.

აღსანიშნავია, რომ „იბერია" ხობში პირდაპირ ტრაპიზონიდან ჩავიდა, სადაც ამხანაგური შეხვედრა გამართა „ტრაბზონსპორთან". მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

# ფეხბურთის ფედერაცია: შემოსავალი, გასავალი

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სპორტი ბიზნესის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა. იქ საქმე საათივით აქვთ აწყობილი და ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ აშშ-ში მაყურებლის სტადიონებზე მისაზიდად ცალკე სპეციალისტები მუშაობენ. მათ ხალხი ხუთ ჯგუფად ჰყოლიათ დაყოფილი, დაწყებული მუდმივი გულშემატკივრიდან, არაგულშემატკივრით დამთავრებული და თითოეული ჯგუფზე შესაბამისი მეთოდით ზემოქმედებენ. ჩვენთან ასეთი ნიუანსების გათვალისწინებამდე ჯერ ძალზე შორს არის, მაგრამ, ვფიქრობ, რომ კერძო საკუთრების შემოღება ვითარებას შეცვლის. მანამდე კი, მოდით, საქართველოს სპორტულ ფედერაციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ჩამოყალიბებულის, ფეხბურთის ფედერაციის ფინანსებში ჩავიხედოთ.

შემოსავლის ძირითადი წყაროა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ჩანარიცხები (უმაღლესი ჯგუფის გუნდი — 15000 მანეთი, პირველი ჯგუფის გუნდი — 12000 მანეთი, მეორე ჯგუფისა — 9000 მანეთი), კლუბების, სტადიონების, მწვრთნელების და ფეხბურთელების დისციპლინარული (ფულადი) სასჯელი, გაზეთ „ქართული ფეხბურთის" შემოსავალი. გარდა ამისა, ფედერაციის ანგარიშზე ფულს სპონსორებიც რიცხავენ. ქართველ ფეხბურთელთა საზღვარგარეთის გუნდებში გადასვლიდან მიღებული თანხა კონკრეტულ კონტრაქტზეა დამოკიდებული.

გასავალში შედის თანამშრომელთა ხელფასები (მინიმუმი 170-180 მან.), მსაჯთა და მსაჯ-ინსპექტორთა მივლინების თანხები და ჰონორარები (უმაღლესი ჯგუფის შეხვედრაში მსაჯი იღებს 80 მანეთს, თანამსაჯები — 40-ს. პირველი ჯგუფის შეხვედრაში, შესაბამისად, 60 და 30 მანეთს, მეორე ჯგუფში — 40 და 20 მან.) გასავალში აგრეთვე შედის ნაკრები გუნდების შეკრებებზე, ტურნირებზე თუ ცალკეულ თამაშებზე დახარჯული თანხა, სპორტული ფორმა-ინვენტარის შეძენა, გამარჯვებულთა დაჯილდოება, გაზეთის გამოცემის ხარჯები. ფედერაცია თავადაც ქველმოქმედებს. მაგალითად, ამას წინათ ჩატარებულ ბავშვთა საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებს გადაურიცხა 30 000 მანეთი, სტიქიით დაზარალებულ რაიონებში გაგზავნა თანამშრომლები, რომელთა ინფორმაციას ამ დღეებში მოისმენს პრეზიდიუმი და შესაბამის თანხას გამოჰყოფს...

სურათი რომ უფრო სრულყოფილი გახდეს, ვნახოთ შარშანდელი, დასრულებული სეზონის ფინანსური მონაცემები. კლუბებისაგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 577990 მანეთი, გუნდების გაწევრიანებისაგან შემოსულმა თანხამ — 25200, ჯარიმებმა — 103960, ხოლო საფეხბურთო სკოლების გაწევრიანების თანხამ 17100 მანეთი. 50600 მანეთი შეიტანეს ზონალურმა შეჯიბრებებმა, გაზეთმა „ქართული ფეხბურთი" კი 322782 მანეთი. სპონსორებმა ფედერაციის ანგარიშზე 654000 მანეთი გადარიცხეს. შარშან, ცალკე იყო გამოყოფილი სტადიონებისაგან მიღებული შემოსავალი (98976 მან.), წელს ასეთი შემოსავალი აღარ იქნება. იგი შევიდა კლუბების მიერ შეტანილ თანხაში (თითოეულ მატჩში მაყურებლისაგან მიღებული თანხის 10%), რომელიც ფედერაციის ანგარიშზე ირიცხებოდა, რაც, როგორც ჩანს, რეალურ 10% ყოველთვის არ შეესაბამებოდა. საერთო გასავალმა გასულ სეზონში შეადგინა 1750901 მანეთი.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფო სახსრებისაგან დამოუკიდებლად არსებობს.

ილია ბაბუნაშვილი



# თურმე ყველა მართალი ყოფილა!



გია ახალაძის ფოტო

ვაკე. 12 მაისი. „ყოჩები" — „გელათი" 9:9.

უეჭველია, ვაკის სტადიონს რაღაც ჯადო სცხია. საკმარისია, ეროვნული ჩემპიონატის მატჩი ქართული რაგბის ამ მართლაცდა მექაში დაინიშნოს, რომ თამაში უფერული გამოვიდეს. ეტყობა, ვაკეში, რაგბის კვალობაზე ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე ასპარეზობა გუნდებს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს და მათ ერთგვარად ბორკავს კიდეც.

აი, ახლაც „ყოჩებ"-„გელათის" თამაში დაძაბული კი იყო, მაგრამ საყურებლად არად ვარგოდა. მეტოქეებმა ლელოს გატანა ვერაფრით მოახერხეს. ეგ იყო მხოლოდ, რომ დამრტყმელებმა — „ყოჩმა" თათარიშვილმა (15) და გელათელმა მაჩიტიძემ (10) სამ-სამი გოლი გაიტანეს და თამაშიც ფრედ დამთავრდა — 9:9.

სამაგიეროდ, კარგი თამაში გაიმართა დიღომში, აგრარული უნივერსიტეტის სტადიონზე, სადაც ვაკის სტადიონს შეჩვეული "ვესტა" „აკადემიას" სტუმრად ხვდებოდა. ვესტელთა თხოვნით ეს მატჩი შაბათის ნაცვლად კვირას გაიმართა, მაგრამ გუნდი თავს, ცოტა არ იყოს, მაინც უქეიფოდ გრძნობდა. თანაც „აკადემია" გააფრთებით იბრძოდა და თამაშის საწყისი ნახევარი საათის მანძილზე თავისზე ბევრად უფრო ძლიერ მეტოქეს ღირსეულადაც უძალიანდებოდა. ვესტელმა ჩავლეიშვილმა (10) თამაშის დაწყებისთანავე არეკნი შეაგდო, მერე კიდევ — საჯარიმო, 30-ე წუთზე კი ვართანიანმა (8) „აკადემიას", ანუ თავის ძველ გუნდს, როგორც იყო, ლელო გაუტანა და „ვესტაც" გაღაღდა. და მაინც, თუ „აკადემიამ" საბოლოოდ დიდი ანგარიშით — 3:44 წააგო, ეს უფრო იმის ბრალი იყო, რომ მეშვიდე ათწუთეულში გუნდს ღონე მთლად წაერთვა და ოთხი გარდასახული ლელო, ანუ 24 ქულა გაუშვა. ამის მერე ორივე გუნდის თაოსნობით მოედანზე ერთობ „ჰკუამხიარული" თამაში გაჩაღდა, რაც, რაღა თქმა უნდა, არანაირ შეჯიბრებას არ უხდება.

უფრო საინტერესო ამბები მოხდა ამერის ლიგაში, სადაც რაგინდარა ხერხით ქულების მოგროვების სულისკვეთება უკვე ძალუმად იგრძნობა. თუმცა ეს საერთოდ არ ეხებათ შაბათს გამართული ორი მატჩის მონაწილეებს. „მეორე აკადემია" — „ივერიის" შეხვედრაში მასპინძელი წელს ჯერარნახული ანგარიშით კი დამარცხდა, მაგრამ ჩემპიონატში პირველი ლელო მაინც გაიტანა. ეს წეველიძემ (11) შესძლო. სამაგიეროდ, ივერიელებმა მეტოქის კარის ხაზს მიღმა ბურთი 14-ჯერ დაამიწეს, აქედან რვაჯერ (!) — ჩაჩუამ (13), რაც აგრეთვე რეკორდია. ვაჟკაცურად ითამაშეს „უნივერსიტეტმა" და „სამედიცინომაც". ექიმებმა შერკინებებში დაჯაბნეს მეტოქე, ორჯერაც დაწინაურდნენ, მაგრამ თურქაძისა (6) და მეორე ნახევარში მოედანზე შემოსული ბურჯების — გურგენიძისა და კიკაბიძის თავდადებული თამაშის წყალობით „უნივერსიტეტმა" ერთი პირობა წაგებული თამაში საბოლოოდ მაინც მოიგო და ეროვნულ ლიგაში გადასვლის პრაქტიკული შანსიც შეინარჩუნა.

„მარიხის" (ფიზკულტურის ინსტიტუტის) და „რუსთავი-1990"-ის თამაში სკანდალური გამოდგა. საქმე ისაა, რომ მსაჯთა უკიდურესი სიმცირის მიუხედავად, რაგბის კავშირის შესაბამისი კომიტეტი რაღაც მანქანებით მაინც ახერხებს, მსაჯები ყველა თამაშზე რომ მიავლინოს. ეგაა მხოლოდ, კომიტეტის თავმჯდომარე გოჩა აბაშიძეს უჭირს, გუნდებს წინდაწინ დანამდვილებით რომ უთხრას, თუ მათ თამაშს ვინ იმსაჯებს, რაკიღა ხშირად მსაჯების გადანაწილება უწევს. აი, ახლაც „მარიხ"-„რუსთავის" თამაშისათვის თავმჯდომარეს ერთი მსაჯი ჰყავდა შეგულებული, მაგრამ მისი მოუცლელობის გამო სამსაჯოდ სხვა მიავლინა. ამან ჩემპიონატის ახალბედათა — რუსთაველთა ხელმძღვანელების გულისწყრომა გამოიწვია. ისინი თამაშზე უარს იყვნენ, თუკი მსაჯი ხელახლა არ შეიცვლებოდა. შეხვედრა ჩაიშლებოდა, თავად რუსთაველი მოთამაშეები რომ არ გაურჩებოდნენ მწვრთნელს და მოედანზე არ გასულიყვნენ. თამაშმა ნერვულად ჩაიარა, გაუჭირდა დაწუნებულ მსაჯსაც, შუა თამაში კი ლაზათიანი მუშტი-კრივიც ატყდა. შეხვედრა, როგორც იქნა, ფრედ დამთავრდა, რომ ახლა შედეგით უკმაყოფილო ფიზკულტურის ინსტიტუტელები აფორიაქდნენ და მსაჯსაც და რაგბის კავშირსაც დააბრალეს, თითქოს პირი ყველას მათ წინააღმდეგ შეეკრას. ერთი სიტყვით, მოასპარეზეთა აზრით, ერთნიცა და მეორენიც მართალნი არიან, სხვა ყველა კი — მტყუანი. რა გვეთქმის, ღმერთმა ეგრე მართლად ატაროთ ამ ქვეყანაზე!

(ანგარიშები იხილეთ მე-8 გვერდზე)

ზაალ გიგინეიშვილი

## ეროვნული ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 3 | 3 | 0 | 0 | 65:14 | 12 |
| 2. გელათი | 4 | 2 | 1 | 1 | 36:41 | 11 |
| 3. ვესტა | 3 | 2 | 0 | 0 | 100:3 | 8 |
| 4. მიმინო | 3 | 1 | 1 | 1 | 28:24 | 7 |
| 5. ყოჩები | 4 | 0 | 2 | 2 | 30:91 | 6 |
| 6. რაში | 2 | 1 | 0 | 1 | 15:24 | 5 |
| 7. იმერეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 32:56 | 5 |
| 8. შევარდენი | 1 | 1 | 0 | 0 | 20:15 | 4 |
| 9. აკადემია | 4 | 0 | 0 | 4 | 15:73 | 4 |

## ამერის ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ივერია | 3 | 1 | 0 | 118:48 | 14 |
| 2. სსფი მარიხი | 2 | 2 | 0 | 79:18 | 12 |
| 3. რუსთავი | 2 | 1 | 1 | 36:30 | 11 |
| 4. უნივერსიტეტი | 2 | 0 | 2 | 78:36 | 10 |
| 5. სამედიცინო | 1 | 0 | 3 | 37:29 | 7 |
| 6. მეორე აკად. | 0 | 0 | 4 | 6:193 | 4 |

## იმერის ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჯანი | 4 | 0 | 0 | 86:34 | 16 |
| 2. სათაფლია | 3 | 1 | 0 | 115:18 | 14 |
| 3. აიეტი | 1 | 1 | 1 | 49:34 | 7 |
| 4. გელ. სკოლა | 1 | 0 | 3 | 38:91 | 7 |
| 5. ფაზისი | 1 | 0 | 2 | 28:75 | 6 |
| 6. ლილე | 0 | 0 | 4 | 14:78 | 4 |

## ტურის ანონსი

ხვალ: „უნივერსიტეტი" — „მარიხი" (ვარკეთილი), „ივერია" — „სამედიცინო" (აგრარული უნივერსიტეტის სტადიონი (აუს)).

ზეგ: „გელათი" — „რაში", „შევარდენი" — „ვესტა" (აუს), „მიმინო" — „აია" (ვაკე, 17.00), „რუსთავი" — „მეორე აკადემია" (მშენებელი, 17.00), „ლილე" — „აიეტი", „სათაფლია" — „ჯანი".

# სევდიანი წერილი ამერიკიდან

ამ ამბავმა ძალიან დაგვამწუხრა და დაგვწყვიტა გული.

აღარ არის მიხეილ მესხი — ჩვენი უსაყვარლესი ფეხბურთელი.

არ არის მიშა — დიდი ფეხბურთელი და პიროვნება, რომელმაც ამდენი სიხარული მოგვიტანა ჩვენი სიყმაწვილის წლებში.

დაუვიწყარია მისი თამაში, „მიშას ფეხბურთი" — დიდებული, ვირტუოზული, ვაჟკაცური.

ვიზიარებთ საქართველოს ამ დიდ ტკივილს. გვწამს, რომ ქართულ ფეხბურთში კვლავაც აღიზრდებიან მიშასებური რაინდები.

ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა და ქართველ ებრაელთა სახელით
სოსო დათიკაშვილი,
„სარბიელის" კორესპონდენტი აშშ-ში.
ნიუ-იორკი.



# მატჩი ჩაშალეს... მსაჯებმა

განვაშის სიგნალი ჯერ კიდევ წინა ტურში გაისმა, როდესაც ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაზე დანიშნული მსაჯები არ გამოცხადდნენ. მაშინ სტუ-ს გუნდის მწვრთნელმა ითავა მატჩის არბიტრობა. ამჯერად, ანალოგიურ სიტუაციაში, მშველელი არავინ აღმოჩნდა და ფოთის „ოქროს ვერძისა" და თბილისის „მამულის" (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდი) შეხვედრა არ შედგა. იქნებ ახლა მაინც იქნას მიღებული ზომები, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდეს. არადა, ასე თუ გაგრძელდა, ჩემპიონატი იქნებ ბოლომდე ვეღარც მივიდეს.

რაც შეეხება თბილისში ჩატარებულ მორიგ ტურს, აღსანიშნავია, რომ სტუ-ს, „მართვე-1" და ვეტერანთა გუნდებმა ყველა შეხვედრაში იმარჯვეს. ქუთაისელმა ხელბურთელებმა კი საერთოდ ვერ შეძლეს დედაქალაქში ჩამოსვლა.

სადღეისოდ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება.

| | | თ. | ქ. |
|---|---|---|---|
| 1. | სტუ | 10 | 27 |
| 2. | ვეტერანები | 10 | 24 |
| 3 | „ოქროს ვერძი" | 9 | 19 |
| 4. | „მართვე-1" | 12 | 19 |
| 5. | „მამული" | 9 | 18 |
| 6. | თელავი | 10 | 18 |
| 7. | ფიზკულტ. ინსტ. | 12 | 16 |
| 8. | ზოოვეტ. ინსტ. | 12 | 9 |
| 9. | ქუთაისი | 6 | 1 |
| 10. | „მართვე-2" | 12 | 0 |

# დამფუძნებელი ყრილობა

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ტანვარჯიშის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. დელეგატებმა მიიღეს ფედერაციის წესდება და აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები. ალტერნატიული ფარული კენჭისყრით ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ანზორ ლონდაძე.

# ევროპის ფანჯარას ვალეწთ

ქართველი სამბისტები მილანში გაემგზავრნენ, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა, რომელმაც ხუთი ათასი დოლარი გამოყო, რაც ჩვენი ათლეტების ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში მონაწილეობის გარანტიას იძლევა.

— საქმე ხომ საქართველოს სამბისტთა გუნდის ეროვნული დროშით გამოსვლას ეხება — ამბობს მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ნოდარ ევტიხიშვილი. — ამ მომენტს, ჩვენი ათლეტები, მრავალი წლის მანძილზე ელოდნენ. ქართველ მოჭიდავეთა შორის ევროპულ სარბიელზე პირველები სამბისტები რომ გადიან, ეს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დიდი დამსახურებაა, რისთვისაც მისი მადლიერნი ვართ. ამავე დროს შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ევროპულ სამბოში შექმნილი მდგომარეობა.

პრესაში უკვე იყო ცნობა იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის, ესპანეთის და იტალიის სამბოს ფედერაციებმა ბოიკოტი გამოუცხადეს საბჭოთა კავშირის ფედერაციას, რომელსაც კონტინენტზე გავლენიანი მდგომარეობა აქვს და მრავალ საკითხში თავის პირობებს კარნახობს. ამ სამმა ქვეყანამ და ზოგიერთმა მათმა მხარდამჭერმა, ერთიანი ძალისხმევით გადაწყვიტეს შექმნან კონტინენტის სამბოს ახალი ფედერაცია, რომელიც საკუთარ ჩემპიონატებს ჩაატარებს. პირველი ალტერნატიული ჩემპიონატი ჩატარდება მილანში 21-23 ივნისს. იტალიაშივე გაიმართება ახალი ევროპული ფედერაციის არჩევნები. საქართველოს ყველა შანსი აქვს მისი დამოუკიდებელი წევრი გახდეს.

— ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ეს საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდეს, — ამბობს ნოდარ ევტიხიშვილი. — ამისათვის ყველა წინაპირობაა. ჯერ ერთი, მსოფლიოში ჭიდაობის ქართული სკოლის ავტორიტეტი ძალიან მაღალია, თანაც ჩემპიონატის ორგანიზატორებმა პერსონალური მოწვევა გამოგვიგზავნეს. მილანში, მოსკოვის გვერდის ავლით, მიწვეულნი არიან ბალტიისპირეთის და რუსეთის სამბისტებიც.

ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სახელზე მოვიდა, მოყვანილია ჩემპიონატის ფორმულა, რომელიც ერთგვარად განსხვავდება წინასაგან. პირველობა ჩატარდება თერთმეტ წონით კატეგორიაში და არა ათში, როგორც ადრე იყო. სიახლე ეხება ყველაზე მძიმე წონით კატეგორიას. ადრე ვინც 100 კგ-ზე მეტი იყო, ყველა ერთი მედლისათვის იბრძოდა, ახალი პირობების მიხედვით კი ჩატარდება შეჯიბრებები 115 კგ-მდე და 115 კგ-ზე მეტ წონით კატეგორიებში. სხვათა შორის, ცნობილი გახდა, რომ ნოემბერში სამბისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია გეგმავს საკუთარი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას.

ქართველმა სამბისტებმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან ჯემალ მჭედლიშვილთან ერთად უკვე დაიწყეს მზადება მილანის ტურნირისათვის. ჯერჯერობით ისინი ადგილზე ვარჯიშობენ, უახლოეს მომავალში კი საქართველოს ნაკრები დაიწყებს მიზანმიმართულ ვარჯიშებს. სხვათა შორის კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა სამბოში მსოფლიო ჩემპიონმა მალხაზ ბერუაშვილმა (რომელიც ცოტა ხნის წინათ დანიშნეს საქართველოს შსს ქარელის რაიონის განყოფილების უფროსად), და მსოფლიო ჩემპიონმა ძიუდოში კობა კურტანიძემ.

კალათბურთი

# პირადი კონტაქტების იმედით


რენდელ ბრაუნი

მას შემდეგ, რაც ქართველმა სპორტსმენებმა და მათ შორის კეტბურთელებმაც, უარი თქვეს საკავშირო შეჯიბრებებში ასპარეზობაზე, სათამაშო პრაქტიკის შესანარჩუნებლად ძირითადი გზა გახდა უცხოელ სპარინგ-პარტნიორთა გამონახვა პირადი კონტაქტების გამოყენებით.

კლუბ „ივერიისა" და თბილისის კულტურის საზოგადოებრივი ცენტრის მცდელობით მოხერხდა ჩვენს ქალაქში ჩამოსულიყო ახალგაზრდობისა და ოჯახების საერთაშორისო ქრისტიანულ ასოციაციასთან არსებული ატლანტის სპორტული სკოლის დირექტორი რენდელ ბრაუნი.

ამერიკელმა სტუმარმა ჭაბუკ ივერიელ კეტბურთელებს საჩუქრად ჩამოუტანა სავარჯიშო აღჭურვილობა, მეთოდური სასწავლო ლიტერატურა. გარდა ამისა, ორი კვირის მანძილზე თამაშის ტექნიკური ილეთების დახვეწაში ეხმარებოდა ახალგაზრდა სპორტსმენებს.

38 წლის ბრაუნი თავის დროზე საკმაოდ ძლიერი კეტბურთელი იყო — წლების მანძილზე აშშ-ს პროფესიული ლიგის ერთი გუნდის „სან-დიეგოპადრეს" წამყვანი პიტჩერი გახლდათ. 6 წლის წინ დაასრულა სპორტული კარიერა და ნორჩ კეტბურთელთა აღზრდას მიჰყო ხელი. ამ მიზნით ატლანტაში საკუთარი სკოლაც გახსნა. სწორედ თავისთან, ჯორჯიის შტატში მატჩების ჩასატარებლად მიიწვია ბატონმა ბრაუნმა ზაფხულში „ივერიის" გუნდი. იმედია, ქართველ კეტბურთელთა ვიზიტს ამერიკაში არაფერი შეაფერხებს. ეს კი, თავის მხრივ, დიდად შეუწყობს ხელს ორი ქვეყნის სპორტსმენთა დაახლოებას. სტუმარს „თვალში მოუვიდა" ორი ჭაბუკი ივერიელი პიტჩერი და შეპირდა, რომ შეეცდება მოახერხოს მათი შემდგომი დაოსტატების ორგანიზება ამერიკის რომელიმე გუნდში.

რაც მთავარია, ამ ვიზიტმა იმედი ჩაგვისახა, რომ ბატონი ბრაუნი თავისი მდიდარი პირადი კონტაქტების გამოყენებით ყოველმხრივ ეცდება გზა გაუხსნას საქართველოს გუნდს ამ ასოციაციის ეგიდით მოწყობილ ტურნირებში სასპარეზოდ.

თბილისში ყოფნისას სტუმარი თითქმის ყოველდღე ესწრებოდა ორიოდე თვის წინ შექმნილი სოფტბოლის გუნდის ვარჯიშებს და რჩევა-დარიგებას აძლევდა გოგონებს. დარწმუნებული ვართ, ამერიკული გაკვეთილები გამოადგათ ივერიელ ქალიშვილებს ტირასპოლის „ვიქტორიასთან" საჩვენებელ მატჩებში. მოლდაველთა გუნდმა, რომელიც შეკრებაზე იმყოფებოდა ადლერში, მიწისძვრის შემდეგ სურვილი გამოთქვა შეძლებისდაგვარად დახმარებოდა საქართველოს და სამი საქველმოქმედო შეხვედრა ჩაატარა მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს" სტადიონზე.

მართალია, სამივე მატჩი უფრო გამოცდილ სტუმართა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ამ შემთხვევაში თბილისელთათვის მთავარი იყო გამოცდილების შეძენა.

გია ახალაძე

ავტორის ფოტოები


ქართველ და მოლდაველ სოფტბოლისტ გოგონათა შეხვედრის ერთი მომენტი

ჩოგბურთი



# ვისაც ჩოგბურთი გიყვართ...

რამდენი კორტი უნდა იყოს მილიონნახევრიან ქალაქში? ალბათ, ამის ზუსტი ნორმა არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ იმდენია საჭირო, რომ დააკმაყოფილოს ჩოგბურთის მოყვარულთა მოთხოვნილება. და არა ისე კატასტროფულად ცოტა, როგორც ეს თბილისშია. სულ თითებზე ჩამოსათვლელია ჩვენს ქალაქში „მოქმედი" მოედნების რაოდენობა და რა გასაკვირია, რომ სპორტის ამ პოპულარული სახეობის უამრავი თაყვანისმცემელი „თამაშგარე მდგომარეობაში" რჩება.

ერთი სიტყვით, რაც მეტი ახალი კორტი გაუღებს კარს მსურველთ, მით უფრო მოიგებს ხალხი. ჯერჯერობით კი, რაც გვაქვს, ის მაინც გამოვიყენოთ მაქსიმალურად...

ორი წელია, რაც ვაკეში, ბავშვთა ქალაქ „მზიურში" მოქმედებს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივ „მზის" ჩოგბურთის სტადიონი.

აპრილში, „ზამთრის ძილის" შემდეგ, თანდათან გამოაცოცხლა მოედნები ბავშვების ჟრიამულმა. თავიდან ცოტანი იყვნენ, მაგრამ დღითიდღე მატულობს მოთამაშეთა რაოდენობა და არა მარტო ნორჩების. აქ, ჭავჭავაძის გამზირიდან ორი ფეხის ნაბიჯზე მშვენიერი პირობებია საიმისოდ, რომ აქტიური დასვენების მოყვარულებმა მთელი ოჯახით საინტერესოდ გაატარონ დრო. ხელოვნური განათების წყალობით გვიან ღამემდეა შესაძლებელი თამაში. ახლა, რომ კარზე მომდგარი პაპანაქება სიცხეც ვერ შეაწუხებს მოთამაშეებს. მათ შორის კი ხშირად შეხვდებით ისეთ ცნობილ პიროვნებებს როგორიცაა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი და „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი თამაზ ჩიხლაძე.

კორტების ხელმძღვანელობას ჩინებული გეგმები აქვს — მალე ბუფეტს ამუშავებენ; ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად ცდილობენ დროულად დაამთავრონ მეოთხე მოედანზე საფარის დაგება. შემდეგ კი საუნის მოწყობასა და აუზის აშენებასაც აპირებენ.

...თუმცა, ათჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობსო, ნათქვამია. ამიტომ გირჩევთ საკუთარი თვალით იხილოთ და შეაფასოთ ეს „ოაზისი" შუა ქალაქში და მერე, იქნებ, უკეთესი ადგილი აღარც ინატროთ დასასვენებლად.


გია ახალაძის ფოტო

გულშემატკივრის ცნობარი

16

(გაგრძელება)

საქართველოში მშვილდოსნობა საუკუნეების ეროვნული სპორტია. გაიხსენეთ თუნდაც ყაბახი, ხალხური შეჯიბრება, რომელშიც მხედარმა მშვილდ-ისრის ზუსტი სროლით უნდა ჩამოაგდოს მაღალ ანძაზე დადგმული თასი. და ეს ყველაფერი ხდება მოძრაობაში, საკმაოდ დიდი სისწრაფით. მშვილდ-ისრის მარჯვე მსროლელები ხალხში დიდი დაფასებითა და პატივით სარგებლობდნენ.

ჩვენ სპორტული მშვილდოსნობის საკმაოდ მდიდარი ტრადიციებიც გვაქვს. 1971 წელს თბილისელმა ლიუბოვ ასატუროვამ საკავშირო შეჯიბრებაზე ოქროს მედალი მოიპოვა 30, 50 მეტრზე სროლასა და მ-2 ვარჯიშში. საქართველოს სპორტსმენთაგან ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა ქეთევან ლოსაბერიძე. ეს მოხდა 1972 წელს ლუქსემბურგში. ერთი წლის შემდეგ იმავე ქეთევან ლოსაბერიძემ პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი გუნდურ ჩათვლაში. მაგრამ ქართული მშვილდოსნობის გვირგვინად, მის უმაღლეს მიღწევად და მთავარ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ქეთევან ლოსაბერიძის გამარჯვება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში 1980 წელს.

## მძლეოსნობა

ძველმა ბერძნებმა ანტიკური სამყაროს ყველა სხვა ცივილიზებულ ხალხზე უკეთ იცოდნენ სპორტის მნიშვნელობა. ეს მათი, ასე ვთქვათ, ისტორიულად დასაბუთებული ღირსება-პრივილეგიაა, რაშიც ძნელია ეჭვის შეტანა. მაგრამ ძველი ბერძნები, ამავე დროს, პრაქტიკული ჭკუის ხალხი იყო და რაც იცოდნენ, იმას წარმატებით იყენებდნენ ცხოვრებაში.

ამ სიტყვების დასტურად გამოდგება წარწერა, რომელიც მეცნიერებმა იპოვეს ეგეოსის ზღვის ერთ-ერთი კუნძულის მიუვალ კლდეზე. ეს წარწერა თავისებური შეგონებაა, რომელიც ძველი ბერძნებისთვის დამახასიათებელი სიცხადითა და კატეგორიულობით განმარტავს სპორტის მნიშვნელობას: „თუ გსურს ძლიერი იყო — ირბინე, თუ გსურს ლამაზი იყო — ირბინე, თუ გსურს ჭკვიანი იყო — ირბინე". ძალა და ჭკუა ეგეოსის ზღვის აუზში მამაკაცის აუცილებელ თვისებად ითვლებოდა მუდამ, სილამაზე კი იმთავითვე ბერძნული ბუნების „სისუსტე" გახლდათ.

რბენა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა ისევე, როგორც, ვთქვათ, ხტომა, სიარული და ა.შ. თავად მძლეოსნობა კი სპორტის სხვა სახეობისგან განსხვავებით კრებითი ცნებაა და სხვადასხვა ბუნებრივი ვარჯიშის (მდგომარეობის) ერთობლიობას გულისხმობს. ჭიდაობაში, კრივში, ფეხბურთში ან ველოსპორტში უძლიერესს, როგორც წესი, ჩემპიონის სახელს ანიჭებენ. მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების, ევროპის და ა.შ. ჩემპიონი შეიძლება იყოს მოჭიდავე, მოკრივე, ფეხბურთელი, ველოსიპედისტი. არ არსებობს ჩემპიონი მძლეოსანი. უფრო სწორად, არ ამბობენ, რომ ამან და ამან ჩემპიონობა მოიპოვა მძლეოსნობაშიო. მძლეოსანი შეიძლება გახდეს ჩემპიონი რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნაში, სპორტულ სიარულში და ა.შ.

ვერავინ გეტყვით დარწმუნებით, როდის გაჩნდა დღეს ასე ფართოდ გავრცელებული და პოპულარული ოლიმპიური დევიზი — „სწრაფად, მაღლა, ძლიერ". სამაგიეროდ ყველამ იცის, რომ ათასობით წლის წინათაც კი ადამიანები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს რბენაში, ხტომაში, ტყორცნაში და ოლიმპიური დევიზის მნიშვნელობა ყველაზე მკაფიოდ სწორედ მძლეოსნურ დისციპლინებში გამოიხატა.

ძველი ბერძნები შესანიშნავი მორბენლები იყვნენ, მაგრამ ეს ჩვენ ვიცით მხოლოდ ზოგადად, ასე ვთქვათ, საერთო შეფასებით, თორემ რომელიმე მორბენლის კონკრეტული შედეგს ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი პავსანია (დიახ, ისტორიკოსი და არა ფილიპე მაკედონელის მკვლელი), მაგალითად, თავის ერთ-ერთ ქრონიკაში აღნიშნავს, სპარტელი ლადასი ისე სწრაფად დარბოდა, რომ კვალს არ ტოვებდა ქვიშაზეო. ეს, რა თქმა უნდა, არის გარკვეული მინიშნება, მაგრამ მაინც მხატვრული ხერხით და არა კონკრეტული ფაქტით-შედეგით.


ბერძნული წარწერა, მორბენალი გოგონა სტარტზე.

სულ სხვა საქმეა ისტორიულ წყაროებში რეალურად არსებული ცნობები სიგრძეზე მხტომელებზე, რომელთაგან ბევრი, გულახდილად რომ ვთქვათ, ფანტასტიკურად გვეჩვენება და ამის გამო დაუჯერებელია. მაგრამ ვიმეორებ, ასეთი ცნობები არსებობს, თანაც საკმაოდ ავტორიტეტულ წყაროებში.

ელადაში ყოველ მეტ-ნაკლებად ცნობილ მწერალს ან პოეტს ვალდებულად მიაჩნდა თავი ერთი-ორი (თუ მეტი არა) ქების სიტყვა ეთქვა სპორტზე. პინდარემ, მაგალითად, მთელი ოდები მიუძღვნა გამოჩენილ სპორტსმენებს. ანტიკურ ჩემპიონებს დიდი სიყვარულითა და მოწიწებით იხსენიებდნენ ჰომეროსი და არქილოქე, სიმონიდე კეოსელი და ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოტელე... ბევრი რამ მათ ნააზრევში ცხადია და გასაგები, მაგრამ ბევრი რამ — სადავო და დაუჯერებელი.


სიგრძეზე ხტომა ჰანტელებით, მარცხნივ — გადასახტომად მომზადებული სპორტსმენი; მარჯვნივ — მსაჯი. ნახატი ლარნაკზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი



# სამზადისი

ფოთი-91

წლეულს, 13-19 აგვისტოს, ფოთში; წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. ამ პრესტიჟული შეჯიბრების ღირსეული მასპინძლობისათვის ახლა ინტენსიური სამზადისია გაჩაღებული. „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტი ფოთში შეხვდა და ესაუბრა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გურამ დოლბაიას.

**— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტს ხომ არ მოჰყვა მოსკოვის მხრიდან ევროპის ჩემპიონატის ჩაშლის მცდელობა?**

— როგორც საქართველოს სპორტის დეპარტამენტიდან ...აცნობეს, ამ დღეებში საუბარი ჰქონიათ საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან ნიკოლაი რუსაკთან, რომელიც აცხადებს, რომ ევროპის ჩემპიონატი ფოთში დათქმულ ვადებში, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ჩატარდება. სხვა საკითხია, რამდენად სარწმუნოა რუსაკის ეს განცხადება.

**— როგორ მიმდინარეობს მზადება ჩემპიონატისათვის? რა გაკეთდა დღემდე და რა არის გასაკეთებელი?**

— მზადებას კარგა ხანია შევუდექით. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი ბატონ თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით. უკვე გაიმართა ორი სხდომა; ჯერ თბილისში, მერე — ფოთში. აქ ჩამოვიდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები და სპეციალური სამსახურის წარმომადგენლები. განვიხილეთ წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის სათანადო დონეზე ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები, კონკრეტული დავალებები მიიღეს შესაბამისმა ორგანიზაციებმა. აღინიშნა, რომ მაყურებელთა ტრიბუნების, ტბის აკვატორიის, ნაპირების გასწორხაზოვნების, საცალფეხო დასაგები ხიდისა და აერარიუმის მშენებლობის ტემპები დამაკმაყოფილებელია. ამასთან ითქვა, რომ უნდა დაჩქარდეს ჩაის კომბინატის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, ტურისტული ბაზის, სატელევიზიო ანძის მშენებლობის ტემპები, კანალიზაციის გამართვის სამუშაოები.

გარდა ზემო აღნიშნულისა, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც აგვარებენ სპორტის დეპარტამენტი და წყალსათხილამურო სპორტის ფედერაცია. მაგალითად, ტრასების მოწყობა, ასპარეზობის მომარაგება კატარღებით, ტრამპლინებითა და სხვა ინვენტარით, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოგვაწვდიან და დღე-დღეზე ველოდებით. უკვე მივიღეთ ტელექსი ინვენტარის გადმოგზავნის თაობაზე.

**— ხმა გავრცელდა, რომ ჩემპიონატის დღეებში ქალაქში შესვლა შეზღუდული იქნება. მართალია?**

— არაფერი ამის მსგავსი გათვალისწინებული არ არის. პირიქით, გვინდა ვთხოვოთ რესპუბლიკის [illegible]ლეობას, [illegible] სპორტის ეს სახეობა, [illegible] ჩემპიონატს, რომელსაც, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის [illegible] იზრუნებს ჩემპიონატის დღეებში ფოთში ტურისტების მოსაზიდად. ველოდებით დაახლოებით 1200-1500 კაცს.

**— როგორ წყდება ევროპის ქვეყნებში ამ ასპარეზობის ტელეტრანსლიაციის საკითხი?**

— ტელეტრანსლიაციის უზრუნველსაყოფად ფოთში შენდება 124 მეტრი სიმაღლის ტელეანძა, რაც საშუალებას იძლევა თანამგზავრზე გადაიცეს სიგნალი, რომელსაც შემდეგ, იმედია, იყიდიან ევროპის ქვეყნები. სპორტის დეპარტამენტის თხოვნით, რესპუბლიკის ტელერადიოდეპარტამენტმა წინადადებით მიმართა ევროპის ტელეკომპანიებს, რათა შეისყიდონ ტრანსლიაციის უფლება. მართალია, ჯერჯერობით პასუხები არ მიგვიღია, მაგრამ იმედია, რომ ჩემპიონატი გადაიცემა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, საფრანგეთი, შვეცია, იტალია, ავსტრია.

**— საქართველოში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით ეჭვქვეშ ხომ არ დამდგარა რომელიმე ქვეყნის სპორტული დელეგაციის ფოთში ჩამოსვლა?**

— არა, ასეთი რამ არ მომხდარა. მართალია, ადრე იყო შეკითხვები სამაჩაბლოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, ცენტრის მიერ გადაცემულმა დეზინფორმაციამ გამოიწვია. ჩვენ მივეცით საჭირო ახსნა-განმარტებანი, რამაც დააკმაყოფილა უცხოეთის წარმომადგენლები. მიწისძვრის გამო კი მხოლოდ სამძიმრის დეპეშები მოდის.

**— როგორ მიიღებენ მონაწილეობას ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები?**

— ეს საინტერესო საკითხია. ჩვენ, როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირიდან ფაქტიურად გასული არა ვართ, ამიტომაც ჩემპიონატი ტარდება საკავშირო სპორტკომიტეტის ეგიდით.

შარშან, საქართველოში, ოფიციალური ვიზიტით იყო ევროპის მეორე ჯგუფის ფედერაციის თავმჯდომარე, ბატონი ობრი შინა, რომელიც გაეცნო ჩემპიონატისათვის სამზადისს. მაშინ დაისვა საკითხი, რომ საქართველოს ნაკრები გამოსულიყო ცალკე გუნდად, თუნდაც როგორც მასპინძელი ქვეყანა. ეს საყოველთაოდ მიღებული წესია. ბატონმა შინამ, რატომღაც, საკავშირო ფედერაციისაკენ მიგვითითა. ასე რომ, ეს საკითხი ჯერჯერობით გარკვეული არ არის, მაგრამ, იმედია, ყველაფერი ობიექტურად გადაწყდება. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს შეუძლია გამოიყვანოს მინიმუმ სამი ევროპული დონის სპორტსმენი. ესენი არიან, უპირველეს ყოვლისა, ხათუნა კორკელია, გენადი გურალია და ეროვნებით ბულგარელი, ფოთის მკვიდრი ვასილ ბუდუროვი.

ესაუბრა
„სარბიელის“ სპეციალური
კორესპონდენტი
დიმიტრი ოსიფოვი,
ფოთი.

---

ფოთში ყოფნისას, ბუნებრივია, ჩვენი ყველაზე ცნობილი წყალმოთხილამურე ხათუნა კორკელია მოვინახულე. „სარბიელის“ მკითხველისთვის, იმედია, საინტერესო იქნება მომავალი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის შეხედულება ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე.

**— ხათუნა, როგორია თქვენი აზრი საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოყოფასთან დაკავშირებით?**

— მე მივესალმები ამ გადაწყვეტილებას. ჩემი დიდი ხნის

# ლიდერი

ოცნება იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ჩემი სამშობლოს სახელით გამოვსულიყავი. ახლა კი ამ ოცნებას შეიძლება ხორცი შეესხას. ქართველი სპორტსმენები გაორკეცებული ენერგიით ვივარჯიშებთ, რათა ქართული სპორტის სახელი საერთაშორისო სარბიელზე გავიტანოთ.

**— თუ მომავალ ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად გამოვა, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ ქართველ გულშემატკივრებს?**

— თუ ჩვენ ცალკე გუნდად ვიასპარეზებთ, იმედია, ხუთეულში მოვხვდებით, რაც ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. ხოლო რაც შეეხება პირად პირველობას, მე მაქვს გამარჯვების იმედი. ასევე საპრიზო ადგილზე გასვლის კარგი შანსი აქვთ გენადი გურალიას და ვასილ ბუდუროვს.

**— ვინ არის თქვენი ძირითადი კონკურენტი ოქროს მედლისთვის ბრძოლაში?**

— ესენი უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ნაკრების წევრები ივანოვა და გუბარენკო არიან, თუმცა შეიძლება ბრძოლაში ერთ-ერთი ინგლისელი სპორტსმენიც ჩაერიოს. მაგრამ მე ვეცდები ყველაფერი ვიღონო გამარჯვებისთვის, მით უმეტეს, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქში გამოვდივარ.

**— ხათუნა, ვისი ხელმძღვანელობით ემზადებით ევროპის ჩემპიონატისათვის? როგორია ვარჯიშის პირობები?**

— ამჟამად მე მავარჯიშებს შესანიშნავი სპეციალისტი ვიქტორ მელნიკი, ამასთან მინდა თბილი სიტყვით მოვიხსენიო ჩემი პირველი მწვრთნელი ვიაჩესლავ კობიალკო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში.

რაც შეეხება მზადებას, ჩვენს განკარგულებაშია შესანიშნავი წყალსათხილამურო ბაზა „აია“, რომლის



ხათუნა კორკელია.

დირექტორი თამაზ ლაგვილავა ყველანაირ პირობებს ქმნის ვარჯიშის და დასვენებისათვის. არის იმპორტული ინვენტარი და ყველა პირობა რომ ჩვენ სათანადოდ მოვემზადოთ ევროპის პირველობისათვის.

**P.S.** სსრ კავშირის წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმმა ამ დღეებში მოისმინა ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ინფორმაცია და დაადასტურა, რომ ჩემპიონატი ფოთში დათქმულ დროს გაიმართება.

---


## ზაფხული-91: მკურნალობა და დასვენება

სილამაზე და ჯანმრთელობა ყველასათვის ხელმისაწვდომია!



თქვენს ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობას კისრულობს საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის მთავარი სპეციალისტი და ტელეგადაცემა „ათლეტიზმის“ პოპულარული წამყვანი სპეციალისტი ბორის ბერეჟნოი.

მისი ხელმძღვანელობით საცურაო აუზ „უშბასთან“ მოქმედებს სამკურნალო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ოლიმპია“. მეცადინეობა ორიგინალური მეთოდით მიმდინარეობს, გამოყენებულია იოგას მეთოდები, აღმოსავლეთის ცნობილი ტანვარჯიში, თანამედროვე კულტურიზმის ელემენტები.

ვიწვევთ ყველას, ვისაც სურს:

— განიკურნოს მემკვიდრეობით მიღებული ცერებრალური დამბლისაგან;
— გაიზარდოს სიმაღლეში;
— გაისწოროს გამრუდებული ხერხემალი;
— დაიკლოს ან მოიმატოს წონაში;
— განიუთაროს კუნთები, წელი და ხელ-ფეხი;
— დაივიწყოს ბრტყელტერფიანობა.

მეცადინეობა სწარმოებს მკაცრი, ინდივიდუალური, განსხვავებული მეთოდებით, გამოიყენება მასაჟი, წყლისქვეშა პროცედურები, ტრენაჟორებზე ვარჯიში.

მეცადინეობა გაიმართება ყოველდღე 9-დან 16 საათამდე, კონსულტაციები ბ. ბერეჟნოისთან 15 საათიდან. მისამართი: წერეთლის გამზ. №117.

სპორტულ-კულტურული მოძრაობა „მაქაბის“ ისტორია მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება, საქართველოში კი „მაქაბის“ დამოუკიდებელი ორგანიზაცია 1990 წელს ჩამოყალიბდა. დღეს სწორედ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს წარმოგიდგენთ, „მაქაბის“ წარსულსა და სამომავლო გეგმებს გაგაცნობთ.

MACCABI WORLD UNION



მიხეილ გუნდიევი (მარცხნივ) და გურამ პაატაშვილი „სარბიელის“ რედაქციაში.

## გურამ პაატაშვილი

საქართველოს სპორტულ-კულტურული საზოგადოება „მაქაბის“ რესპუბლიკური კულტურის ცენტრის პრეზიდენტი, საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის თავჯდომარის მოადგილე კულტურის, მეცნიერების, განათლების და საზღვარგარეთთან ურთიერთობის დარგში. კომპოზიტორი, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი.

— საზოგადოება „მაქაბის“ დასახელებიდანაც ჩანს, რომ ჩვენი საქმიანობის უმთავრესი სფეროებია სპორტი და კულტურა. „მაქაბის“ საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სპორტულ შეჯიბრებათა პარალელურად აუცილებელია ღონისძიებები ფოლკლორული თუ თანამედროვე ანსამბლებისა და ჯგუფების, კონკრეტული ქვეყნისა და რეგიონის კულტურის წარმომადგენელთა მონაწილეობა.

ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა მშვიდობიანი, მეგობრული თანაცხოვრების შესანიშნავი მაგალითია. ჩვენი საზოგადოება ცდილობს თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში, სპორტის პროპაგანდასთან ერთად ხელი შეუწყოს ქართული და ებრაული კულტურის, ხელოვნების გატანას უცხოეთში.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლი კარგა ხანია ითვლება საქართველოში ებრაული კულტურის ერთ-ერთ ცენტრად და შემთხვევითი არ არის, რომ „მაქაბის“ ეგიდით გათვალისწინებული ღონისძიებები უმთავრესად სწორედ აქ იმართება. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ცენტრის ძალისხმევით შოთა იაკობაშვილის, დავით მანაშეროვის, მიხეილ გოლდმანისა და სხვათა თანადგომით არაერთ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ვუმასპინძლეთ კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების არაერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს, ისრაელის ქართულ ანსამბლს. აქვე მოეწყო თბილისში ჩამოყალიბებულ ბავშვთა და მოზრდილთა ებრაული ანსამბლების პრემიერა, თეატრალური დადგმები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ჩვენი თანამშრომლობა ისრაელის პრემიერ-მინისტრის სპეციალურ მრჩეველთან იცხაკ დავითთან. მე დავწერე სიმფონია ბატონი იცხაკის პოემის მიხედვით, ახლა ვმუშაობ ერთმოქმედებიან ოპერაზე, რომელსაც საფუძვლად დაედო მის მიერ ისრაელში გამოცემული ქართული ლექსები.

— ბოლოს ერთსაც ვიტყვი: გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ საერთაშორისო მასშტაბის სპორტულ-კულტურული ფესტივალი, რომელიც, თუ საერთო მხარდაჭერა იქნება, ჩვენი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთ ნიშანსვეტად უნდა იქცეს.

## მიხეილ გუნდიევი

საქართველოს სპორტულ-კულტურული საზოგადოება „მაქაბის“ პრეზიდენტი

— „მაქაბის“ საქართველოს საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა 1989 წელს გაჩნდა, დამფუძნებელი კონფერენცია კი 1990 წლის 28 მარტს გაიმართა. ჩვენი ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები ამ კონფერენციაზე მიღებულ წესდებაშია მოცემული. უწინარესად, ეს გახლავთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სპორტულ-კულტურული მოძრაობის აღორძინება, მთლიანად ქართული სპორტის, ქართული კულტურის პროპაგანდა და ერთობლივი ზრუნვა საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლისათვის, საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება და „მაქაბის“ ეგიდით გამართულ ტურნირებში დამოუკიდებელი მონაწილეობა. ახალ საქმეს, მოგეხსენებათ, ყოველთვის ახლავს სირთულეები, მაგრამ დაინტერესებული ორგანიზაციების დახმარებით, პირველი რიგის ორგანიზაციული საკითხები დროულად მოგვარდა. მხარში ამოგვიდგნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რესპუბლიკის სპორტკომიტეტი და ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენი“, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი დამფუძნებელია. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობის აქტიური მხარდაჭერა. ერთი სიტყვით, ჩვენ საზოგადოებას პირველი ნაბიჯებიდანვე არ მოჰკლებია კეთილისმსურველები, რამაც საშუალება მოგვცა თამამად წაგვემართა მუშაობა.

ჯერ კიდევ დამფუძნებელ კონფერენციამდე მონაწილეობა მივიღეთ კაუნასში გამართულ მინი-ფეხბურთელთა ტურნირში, კალათბურთელებმა კი კიევში იასპარეზეს. სოხუმში უკვე ჩამოყალიბდა ჩვენი რეგიონალური ორგანიზაცია. ასეთივე ორგანიზაციები შაიქმნება ქუთაისში, გორში, ხაშურში. შეძლებისდაგვარად, ამ მოძრაობაში გვინდა ჩავრთოთ მთელი რესპუბლიკა, თუმცა ცენტრი, ცხადია, თბილისში იქნება. აქ უკვე მუშაობას შეუდგა კალათბურთის, ფეხბურთის, ცურვის, ჩოგბურთის სკოლები, რომლებსაც გამოცდილი მწვრთნელ-სპეციალისტები ჯამლეთ ხუხაშვილი, ნოდარ ბაზაზაშვილი, ლევ ვეჩხაიზერი და ვიქტორ ბაქში ხელმძღვანელობენ. მართალია, ჯერჯერობით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამართულ „მაქაბის“ შეჯიბრებებში სისტემატიურად ვერ გამოვდივართ, მაგრამ დაისახა საიმედო პერსპექტივა. მაგალითად, ჩვენმა კარატისტებმა წლეულს აპრილში მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადში გამართულ კონფედერაციის შესარჩევ შეჯიბრებაში, რომელიც საკმაოდ მაღალი რანგისა იყო და ათამდე გუნდი გამოდიოდა. ტურნირს დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის წარმომადგენლები. საქართველოს კარატისტებმა აქ გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. კარატეს სკოლას სათავეში უდგას მამუკა თეთრაშვილი, რომელმაც უკვე ოთხმოცამდე ბავშვი შემოიკრიბა. აქვე ვარჯიშობენ მოზრდილებიც. საკავშირო კონფედერაციის ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში ისრაელის ტურნირში გამოვიდა თბილისელი მიხეილ ოჩარაშვილი. მას თელ-ავივის „მაქაბიმ“ კონტრაქტების დადება შესთავაზა, მაგრამ რაკი მიშა თბილისის „მრეტებში“ თამაშობს, თავაზიანი უარი უთხრა.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენს საზოგადოებაში ეროვნული ნიშნის მიხედვით არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. „მაქაბის“ წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი, რაც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ტურნირებში ეგრეთწოდებული შერეული გუნდებით ვიასპარეზოთ. საქართველოს სპორტსმენები, როგორც ცნობილია, აღარ გამოდიან საბჭოთა ნაკრების გუნდების შემადგენლობაში, აგრეთვე საკავშირო შეჯიბრებებში. არადა, სპორტული ოსტატობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ტურნირებში სისტემატიური მონაწილეობა. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს სპორტსმენებს აქტიურად ჩავრთავთ „მაქაბის“ შეჯიბრებებში. სხვათა შორის, წლეულს ნოემბერში ისრაელი უმასპინძლებს მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ შეჯიბრებაზე საქართველომ დამოუკიდებლად მონაწილეობა შეძლოს. არის პერსპექტივა, რომ ისრაელში ჩოგბურთელთა გუნდის გამგზავრებასაც შევძლებთ, ამას გარდა, აქ, საქართველოშიც ვაპირებთ წარმომადგენლობითი ტურნირების ორგანიზაციას. ამ დღეებში „მაქაბის“ საქართველოს საზოგადოებას სერიოზული სამომავლო გეგმები აქვს და მათი რეალიზაცია უთუოდ შეუწყობს ხელს ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის ბრძოლას.



საქართველოს „მაქაბის“ კარატისტთა გუნდი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა სიმფეროპოლში გამართულ ტურნირზე.



ეს ფოტო, რომელიც 1969 წელს კურორტ საირმეშია გადაღებული, მოძველდა, მაგრამ სამაგიეროდ ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. მასზე გამოსახულია ხალხი, რომელიც იღვწოდა და დღესაც იღვწის ორი ქვეყნის, საქართველოს და ისრაელის დაახლოებისთვის. ორი მათგანი ჩვენი ყოფილი თანამემამულეა. იცხაკ დავითი (მარცხნივ) დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ შამირის სპეციალური მრჩეველია. ბორის გაპონოვი (შუაში) დიდი რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელია ივრითზე (რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა ისრაელში). მესამეა თბილისელი გურამ პაატაშვილი, რომელიც დღეს საქართველოს სპორტულ-კულტურულ საზოგადოება „მაქაბის“ ვიცე-

## „მაქაბი“ — წარსული და დღევანდელობა

საერთაშორისო ებრაული სპორტული მოძრაობა იმ ეროვნულ გმირთა სახელს ატარებს, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 167 წელს სათავეში ჩაუდგნენ განმათავისუფლებელ ომს საბერძნეთის მიერ დაპყრობილ პალესტინაში. მადეინში, იერუსალიმის მახლობლად, შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა მატატიატის ოჯახი, რომელსაც ხალხში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მაქაბის ეძახდნენ. კოგენ მაქაბი და მისი ხუთი ვაჟი სხვა პატრიოტებთან ერთად პარტიზანულ ომს ეწეოდა. თანდათან მათ რაზმს ორგანიზებული არმიის სახე მისცეს და მტერზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვების, შემდეგ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 165 წელს თავიანთი პოლკები იერუსალიმში შეიყვანეს.

განმათავისუფლებელი ომი 25 წელიწადს გაგრძელდა. კოგენ მაქაბი და მისი ოთხი ვაჟი დაიღუპნენ. თავისი ხალხი საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა სიმონ მაქაბიმ, ძმებს შორის უფროსმა. იგი გამოცხადდა იმ თავისუფალი სახელმწიფოს მეფედ, რომელმაც ას წელიწადს იარსება, ვიდრე რომაელები დაიპყრობდნენ. განმათავისუფლებელ გმირთა სახელები ერთობის, ვაჟკაცობის, პატრიოტობის თავისებურ სიმბოლოდ იქცა. დღეს „მაქაბი“ სპორტული კლუბებისა და გუნდების ძალზე გავრცელებული სახელია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ასე უკვდავყო ხალხმა ეროვნულ გმირთა ხსოვნა.

სპორტული მოძრაობა „მაქაბი“ დასაბამს გასული საუკუნის დამლევიდან იღებს. პირველი „ებრაული სატანვარჯიშო კლუბი“ 1895 წელს შეიქმნა თურქეთში, ქალაქ სტამბულში. ორი წლის შემდეგ პლოვდივში დაარსდა ებრაული „ფიზიკური კულტურის კლუბი — სამსონი“. იმ პერიოდიდან მსგავსი სპორტული ორგანიზაციები იქმნებოდა გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, პოლონეთში. ისრაელში პირველი სატანვარჯიშო კლუბი დაარსდა 1906 წელს იაფაში. მას „რიშილ ელ ეიონი“ ერქვა (ამჟამად — „მაქაბი“, თელ-ავივი). ამას მოჰყვა „მაქაბის“ ახალი კლუბების დაბადება უნგრეთში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, იუგოსლავიაში, რუმინეთში. რუსეთში „მაქაბის“ პირველი კლუბები 1913 წელს ჩამოყალიბდა.

1921 წელს ჩეხოსლოვაკიაში მაქაბისტებმა თავიანთ პირველ ყრილობაზე გადაწყვიტეს შეექმნათ ერთიანი საერთაშორისო ორგანიზაცია „მაქაბი“. სამი წლის შემდეგ „მაქაბის“ სპორტსმენებმა პირველი დიდი წარმატება მოიპოვეს საერთაშორისო სარბიელზე. ფინეთის ქალაქ ტურკუს მკვიდრმა ელიას კაცმა, რომელიც ამ ქვეყნის დროშით გამოდიოდა, უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა პარიზის ოლიმპიადაზე. ამ გამარჯვებამ სტიმული მისცა „მაქაბის“ სპორტული მოძრაობის შემდგომ განვითარებას. დაარსდა ახალი კლუბები დანიაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, საფრანგეთში, ბელგიაში. საბჭოთა კავშირში 1930 წელს „მაქაბის“ კლუბები დაიხურა.

მანამდე ერთი წლით ადრე ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოსტრავაში საერთაშორისო საზოგადოება „მაქაბის“ პირველი კონგრესი მოეწყო. იქ გადაწყდა ისრაელში ჩატარებულიყო „ებრაული სპორტული თამაშები“ — „მაქაბიადა“.

პირველი თამაშები 1932 წელს მოეწყო. ამ ასპარეზობას დაამთხვიეს ახალი სტადიონის გახსნა თელ-ავივში. ერთი წლის შემდეგ ზაკოპანეში (პოლონეთი) ზამთრის პირველი „მაქაბიადა“ გაიმართა.

1939 წლიდან, როცა ევროპას ომის ხანძარი მოედო, „მაქაბის“ სპორტკლუბებმა მოქმედება შეწყვიტა. ამ მხრივ გამონაკლისი იყო მხოლოდ დიდი ბრიტანეთი, შვეცია და შვეიცარია. მორიგი „მაქაბიადა“ მხოლოდ 1950 წელს ჩატარდა ისრაელში, რამათ-განის ახალ სტადიონზე, სადაც დღეს ამ ორგანიზაციის საერთაშორისო კავშირის შტაბბინა მდებარეობს.

ათი წლის შემდეგ რომში, ოლიმპიადის დროს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესმა აღიარა საერთაშორისო ორგანიზაცია „მაქაბი“, რომელსაც საერთაშორისო კავშირისა და სოკ-ის სრულუფლებიანი დამოუკიდებელი წევრის სტატუსი მიანიჭა. ამჟამად ეს ორგანიზაცია ხუთივე კონტინენტური კონფედერაციის ორმოცდაათზე მეტ ქვეყანას აერთიანებს. რეგულარულად — ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება საერთაშორისო „მაქაბიადებიც“. თამაშების პროგრამაში თითქმის ყველა ოლიმპიური დისციპლინა შედის.

„მაქაბიადები“ სპორტული დონით, მართალია, ჩამოუვარდება ოლიმპიურ თამაშებს, მაგრამ ეს შეჯიბრება მეტად პრესტიჟულია ყოველი სპორტსმენისათვის. მარკ სპიცი, სებასტიან კოუ და თანამედროვეობის სხვა გამოჩენილი ათლეტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „მაქაბის“ ეგიდით ჩატარებულ ტურნირებს. ორი წლის წინ თელ-ავივში ჩატარდა ზაფხულის მე-13 „მაქაბიადა“. ასპარეზობაში ლიტვის წარმომადგენლებიც ჩაებნენ.

„მაქაბიადაში“ ეროვნებით ებრაელი სპორტსმენები მონაწილეობენ, მაგრამ ამ კავშირის ეგიდით მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში რეგულარულად ტარდება დიდი საერთაშორისო ტურნირები სპორტის ცალკეულ სახეობებში. ამ შეჯიბრებებში თავიანთი ქვეყნის ერთიანი დროშით გამოდიან ძირითადი ეროვნების წარმომადგენლებიც. ეს არის ნათელი გამოხატულება ჰუმანური პრინციპებისა, რომლებითაც საერთაშორისო სპორტული კავშირი „მაქაბი“ ხელმძღვანელობს.

## თანამედროვე ხუთჭიდი

ევროპის ჩემპიონატი. სოფია. ქალები, 1. ანა დოლგაჩევა (სსრკ) — 5399; 2. დოროტა იდზი (პოლონეთი) — 5387; 3. ანა სულიმა (პოლონეთი) — 5203. გუნდური. 1. სსრკ — 15234; 2. უნგრეთი — 14891; 3. პოლონეთი — 14794.

## ხელბურთი

ევროპის საკლუბო ტურნირები. ქალები. ჩემპიონთა თასი. ფინალები. „ლიუტცელინდენი" (გერმანია) — „ჰიპობანკი" (ავსტრია) — 21:15, 22:25. თასების მფლობელთა თასი. „რადნიჩკი" (იუგოსლავია) — „სპარტაკი" (სსრკ) — 28:15, 18:25, იეფ-ს თასი. „ლოკომოტივი" (იუგოსლავია) — „ბაიერი" (გერმანია) — 19:11, 19:20.

## ფრენბურთი

პირველი მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის. სან-პაულუ (ბრაზილია). ქალები. ფინალი. „სადია" (ბრაზილია) — „კოლგეიტი" (ბრაზილია) — 3:0 (15:9, 15:8, 15:1). მატჩი მესამე ადგილისათვის. „მლადოსტი" (იუგოსლავია) — „ოჩი ვერდი" (იტალია) — 3:1 (13:15, 15:5, 15:8, 15:7).

## მხატვრული ტანვარჯიში

მსოფლიო თასის გათამაშება. პარიზი. ოქსანა სკალდინა (სსრკ). 38, 15; 2. მილა მარინოვა (ბულგარეთი) — 37, 8; 3. ოქსანა კოსტინა (სსრკ) — 37, 8.

## კრივი

ევროპის ჩემპიონატი. გეტებორგი (შვეცია). ფინალები (პირველნი დასახელებულნი არიან გამარჯვებულები). 48 კგ. ი.მარინოვი (ბულგარეთი) — ლ.კასტილიონე (იტალია); 51 კგ. იკოვაჩი (უნგრეთი) — მლოში (გერმანია); 54 კგ. სტოდროვი (ბულგარეთი) — მ.დიასი (ჰოლანდია); 57 კგ. პგრიფინი (ირლანდია) — ფგატინი (სსრკ); 60 კგ. ვ.ნისტორი (რუმინეთი) — ა.ხამატოვი (სსრკ); 63,5 კგ. კ.ცზიუ (სსრკ) — აციულოფი (გერმანია); 67 კგ. რ.ველინი (შვეცია) — ვერეშჩენკო (სსრკ); 71 კგ. იაკოპკოხიანი (სსრკ) — ტ.შმიტი (გერმანია); 75 კგ. სოტკე (გერმანია) — მ.ფრანეკი (ჩეხოსლოვაკეთი); 81 კგ. დ.მიხალჩევსკი (გერმანია) — პ.ზვეზერინენი (ჰოლანდია); 91 კგ. აკანდერლეინდე (ჰოლანდია) — გ.სტეფანოპულოსი (საბერძნეთი); 91 კგ. — ს ზევით. ებელოუსოვი (სსრკ) — ა.შნიდერსი (გერმანია).

## ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის (16 წლამდე). შვეიცარია. პირველი ტური. — „ა" ჯგუფი. შვეცია — ბულგარეთი — 1:0, ავსტრია — გერმანია — 8:1. „ბ" ჯგუფი. საბერძნეთი — პოლონეთი — 1:0, პორტუგალია — შვეიცარია — 2:0. „ც" ჯგუფი. რუმინეთი — დანია — 1:1, საფრანგეთი — ფინეთი — 0:0. „დ" ჯგუფი. ესპანეთი — სსრკ — 4:1, ისლანდია — იუგოსლავია — 2:1.

## რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი, 11-12 მაისი.

ეროვნული ლიგა. „ყოჩები" (სტუ) 9 (6) (3ს) — „გელათი" (ქუთაისი) 9 (3) (2ს, 1ა); „აკადემია" 3 (0) (1ს) — „ვესტა" 44 (16) (7ლ, 5გ, 1ს, 1ა).

ამერის ლიგა. „მეორე აკადემია" 6 (0) (1გლ) — „ივერია" 70 (24) (14ლ, 7გ); „სამედიცინო" 12 (6) (2გლ) — „უნივერსიტეტი" 15 (3) (3ლ, 1ს); „მარიხი" (სსფი) 6 (6) (1ს, 1ა) — „რუსთავი-1990" 6 (6) (2ს).

იმერის ლიგა. „გელათის სკოლა" (ქუთაისი) 0 — „სათაფლია" (წყალტუბო) 35; „ჯანი (ჩოხატაური) 36 — „ლილე" (ლენტეხი) 4.

საერთაშორისო მატჩები: ვანკუვერი (კანადა). ბრიტანეთის კოლუმბია 9 — შოტლანდია 20. ოკლენდი (ახალი ზელანდია). ოკლენდი 36 — ფიჯი 6.

ფირას ჩემპიონატი. მოსკოვი. 11 მაისი. სსრკ 30 — ესპანეთი 3.

## ჭიდაობა

ა. ზაიკინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. კიშინოვი. 52 კგ. 2. ოთარ ბაკურაძე (ბათუმი). 57 კგ. 1. თამაზ ყაზარაშვილი (საგარეჯო). 62 კგ. 1. დიმიტრი მელაძე (ბორჯომი); 2. კობა გულიაშვილი (მარტყოფი). 74 კგ. 1. კობა ოჩიგავა (სენაკი); 2. გიორგი ადეიშვილი (სამტრედია). 90 კგ. 1. გიორგი კოლუაშვილი (ქუთაისი). 3. კობა ჭიჭეიშვილი (სამტრედია). 100 კგ. 1. ზაურ ივანაშვილი (თბილისი); 2. თენგიზ თედორაძე (თბილისი).

საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. კიშინოვი. 52 კგ. 1. ნუგზარ ჭკუასელი (სოხუმი). 82 კგ. 1. დავით ხურცია; 2. ელდარ კურტანიძე (ორივე — სოხუმი).

## ცხენოსნობა

საქართველოს 1991 წლის აბსოლუტური ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში. ფოთი. უფროსი ასაკის ცხენებისათვის. რთული კლასი „ბ": 1. დიმიტრი გაზიბაიზოვი; 2. ხვიჩა ტუსიშვილი (ორივე — თბილისის საცხენოსნო ბაზა); 3. ზვიად ანჩაბაძე (გალი). რთული კლასი „ა": 1. გაზიბაიზოვი; 2. მამია შონია (ზუგდიდი); 3. ანჩაბაძე. საქართველოს თასი (ორ გიტადე): 1. ტუსიშვილი; 2. ალექსანდრე ჭელიძე (თბილისი, განათლების რესპუბლიკური სპორტული სკოლა); 3. როინ ლაგვილავა (ზუგდიდი). აბსოლუტური ჩათვლა უფროსი ასაკის ცხენებისათვის სამი პარკურის ჯამში: 1. გაზიბაიზოვი; 2. ტუსიშვილი; 3. შონია. ახალგაზრდა ცხენებისათვის. რთული კლასი. „ბ": 1. ლაშა შანავა (წალენჯიხა); 2. შონია; 3. ზაზა გონჯილაშვილი (თბილისის საცხენოსნო ბაზა). ხმონადირო პარკური: 1. შანავა; 2. მერაბ სამუშია (ოჩამჩირე); 3. გოჩა ჯალაღონია (ფოთი). საქართველოს თასი (ორ გიტადე): 1. გონჯილაშვილი; 2. შანავა; 3. სამუშია.






FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ლაჟვარდოვანი ზღვა, ეგზოტიკური იახტები, და ... ისევ სენა

მონაკოს „გრან პრი" ფორმულა 1-ის დაარსების მომენტიდან, 1950 წლიდან ტარდება და განსაკუთრებული პრესტიჟით სარგებლობს. მიუხედავად ამისა მონტე-კარლოში გაცილებით ნაკლები მაყურებელი იყრის თავს ვიდრე სხვა ეტაპებზე. ამჯერადაც სულ 5000-მდე კაცი შეგროვდა. მაყურებელთათვის ყველაზე პრესტიჟულ ადგილად ითვლება კაზინო, რომლის წინაც უშუალო სიახლოვეში გადის რბოლის ტრასა, მაგრამ მთავარია ყურე, რომელიც რბოლის დღეს პირთამდე ივსება მილიონერთა ძვირფასი იახტებით.

მონტე-კარლოს ტრასა ჩემპიონებისთვისაც და დებიუტანტებისთვისაც ერთნაირად რთულია. 3328 მეტრი სიგრძის ტრასაზე მრბოლებს უამრავი სახიფათო მოსახვევის გავლა უხდებათ, ხან აღმართში, ხანაც — დაღმართში. ყველაზე სახიფათო მონაკვეთად ითვლება 150-მეტრიანი გვირაბი. დღის სინათლიდან გვირაბში შესვლა, მერე ისევ მკვეთრ სინათლეზე გამოსვლა ასეთი ნერვული დაძაბულობის დროს, ზოგჯერ წამიერ სიბრმავესაც კი იწვევს. რამდენიმე ასეთი „ბრმა" წამი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ავარიისათვის. მით უმეტეს, რომ გვირაბის მერე მკვეთრი მოსახვევია და ტრასა სანაპიროზე გადის. 1955 წელს იტალიელი ალბერტო ასკარი თავისი „ფერარით" ამ სანაპიროდან ყურეში „გადაეშვა". ათი წლის შემდეგ იგივე შეემთხვა ავსტრალიელ პოლ ჰოკინსს „ლოტუსით". ამიტომ რამდენიმე წლის წინ მონაკოს მთავრობამ თითქმის 1,5 მილიონი დოლარი დახარჯა ამ მონაკვეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყურეც კი „შეავიწროვეს" და ამის ხარჯზე ტრასა გააგანიერეს.

მონტე-კარლოს წლევანდელი რბოლა ყველა წინანდელისაგან გამორჩეულ ადგილს დაიკავებს. საკვალიფიკაციო რბოლაში სენამ ტრადიციული პირველი ადგილი დაიკავა და სტარტზე 56-ედ მიიღო „ფულ-პოზიშნ" — პირველი სასტარტო ადგილი, თანაც ერთი წრის გავლის დროით ტრასის არაოფიციალური (რადგან საკვალიფიკაციო შეჯიბრება იყო) რეკორდი დაამყარა — 1.20, 344 წთ (149,119 კმ/სთ). კიდევ ერთი რეკორდია მისი მეოთხე გამარჯვება ოთხ სასტარტო ეტაპზე. რაც მანამდე ვერავინ შეძლო!

სენამ ამჯერადაც ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. ჩინებული სტარტის შემდეგ დაწინაურებულმა, ფინიშამდე არავინ გაატარა წინ და თავისი 30-ე „გრან პრი" მოიგო. ამ მაჩვენებლით მას მხოლოდ ფრანგი ალენ პროსტი ჯობნის, რომელმაც 44 ეტაპზე გაიმარჯვა. წლეულს პროსტი, რომელსაც რბოლის ტაქტიკური სიბრძნისათვის „პროფესორი" შეარქვეს, ჯერ-ჯერობით ვერაფერს უპირისპირებს სენას და მის ახალ, 12-ცილინდრიანი ძრავით აღჭურვილ „მაკლარენს". მან საკვალიფიკაციო რბოლაშიც ვერ გამოიჩინა თავი, მეშვიდე შედეგით მხოლოდ მეოთხე სასტარტო რიგში მიიღო ადგილი. მონტე-კარლოს ვიწრო ქუჩებში სასწაულიღა თუ შეაძლებინებდა პროსტს ლიდერთა შორის მოხვედრას.

ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი ჯეკი სტიუარტი მონტე-კარლოს ეტაპზე ამბობდა: „ტრასა აქ სპეციფიურია და საშუალო სიჩქარე საათში 140 კილომეტრს არ უნდა აჭარბებდეს, რადგან ნებისმიერი შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს..."

სტიუარტის ეს რეკომენდაცია, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ყველასათვის აუცილებელია. წარმოიდგინეთ, 3328 მეტრიან ტრასაზე, რომელსაც მრბოლი წუთნახევარზე ნაკლებ დროში გადის, მას ყოველ 3-4 წამში უხდება სიჩქარის გადართვა. ზოგიერთ მოსახვევში სიჩქარე 200 კმ-დან მკვეთრად

> **აირტონ სენა**
> **ბრაზილია**
>
> 
>
> დაიბადა 1960 წლის 21 მარტს სან-პაულუში.
>
> სიმაღლე 175 სმ, წონა 70 კგ.
>
> ფორმულა 1 ავტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატების 42 წლის მანძილზე აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პილოტს უკვე ხაწყისი ეტაპების შემდეგ ასეთი უზარმაზარი უპირატესობა ჰქონოდა მეტოქეებზე.
>
> 4 გამარჯვება 4 ეტაპზე და ზედიზედ მეხამედ მოგებული მონაკოს „დიდი პრიზი" „ჯადოქარ" სენას ასეთ ფანტასტიკურ შედეგს, ალბათ, მისი ყველაზე ერთგული თაყვანისმცემლებიც კი არ მოელოდნენ.
>
> აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელმა პილოტმა 3 წლის წინაც შესძლო ზედიზედ ოთხი ეტაპის მოგება, თუმცა ეს შუა პირველობისას მოხდა. სულ კი 1988 წლის ჩემპიონატში სენამ რვა ქვეყნის დიდი პრიზის გათამაშებაში იმარჯვა. მაგრამ, როგორც ეტყობა, დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ რეკორდს უწერია.
>
> მონტე-კარლოში გამარჯვება სენას 30-ე მოგებული ეტაპი იყო 114 რბოლიდან.

უნდა შემცირო 40-მდე... თოთხმეტმა პილოტმა ვერ „გაითვალისწინა" სტიუარტის რეკომენდაციები და ფინიშამდე ვერ მივიდა.

რბოლის 43-ე წრეზე გვირაბის გავლისას აფეთქდა „ჰონდას" ძრავა მოდენას „ტირელზე", რომელიც მეორე მიდიოდა. მას პატრეზეს „უილიამსი" შეეჯახა. მანამდე მიქელე ალბორეტოს „ფოდუორგიდან" ტრასაზე ზეთი დაიქცა, რამაც მონოპოსტების შეფერხება გამოიწვია. ამით მოხერხებულად ისარგებლა პროსტმა და მეორე ადგილზე გავიდა. მას მენსელი და ალეზი დაედევნენ. 64-ე წრეზე მენსელმა ეფექტურად გაუსწრო პროსტს, რითაც ალაფრთოვანა იახტებზე მოკალათებული მილიონერები. ამ დროს მენსელი ლიდერს 40 წამით ჩამორჩებოდა, ფინიშზე კი ჩამორჩენა 18 წამამდე შეამცირა. არც პროსტს დაუყრია ფარ-ხმალი. ამის დასტურია ბოლოსწინა წრეზე ნაჩვენები ტრასის რეკორდი ერთი წრის გავლაში — 1.24,368 (142,006 კმ/სთ).

მენსელმა ფინიშის შემდეგ თქვა: „დარწმუნებული ვარ, მიმდინარე სეზონში „მაკლარენს" არ დარჩება უდავო ლიდერობა. „უილიამსი" და „ფერარი" შეძლებენ მისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევას. და მაინც, მე სიამოვნებით გავიქროლებდი სენას მანქანით". თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა სამ ეტაპზე მენსელი ფინიშამდე ვერ მივიდა, მას იქნებ, მართლაც, ყველაფერი წინ აქვს.

ამ დროს სენა სიფხიზლეს ინარჩუნებს: „ჯერ ადრეა ჩემთვის ჩემპიონობის მილოცვა. ამ ტიტულამდე კიდევ დიდი გზაა. — 12 ეტაპი. ჩვენ ძლიერნი ვართ, მაგრამ არა დაუმარცხებლები. რბოლის დროს სიჩქარის გამოცვლა დაახლოებით 3000-ჯერ დამჭირდა. მე თითქოს მომჭრეს ხელები და საშინლად მტკივა ზურგი, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ".

„მონაკოს გრან პრის" შედეგები (78 წრე, საერთო სიგრძე 259,584 კმ). საუკეთესო დრო ერთ წრეზე (3,328 კმ): ალენ პროსტი — 1.24,368 (142,006 კმ/სთ).

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი") — 1:53.02,334 (137,785 კმ/სთ.); 2. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი") — 1:53.20,782; 3. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — 1:53.49,789; 4. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონი") — 1 წრე; 5. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი") — 1; 6. ემანუელე პირო (იტალია, „დალარა") — 1; 7. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ლიჟიე") — 2; 8. ბერტრან გაშო (საფრანგეთი, „ლოლა") — 2; 10. ერიკ კომა (საფრანგეთი, „ლიჟიე") — 2; 11. ირკი ლეჰტო (ფინეთი, „დალარა") — 3; 12. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი") — 6. რბოლა ვერ დაამთავრეს: 13. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი") — 65 წრე; 14. ჯანი მორბიდელი (იტალია, „მინარდი") — 50; 15. მაურიციო გუჯელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ ჰაუზი") — 44; 16. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი") — 43; 17. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი") — 43; 18. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი") — 42; 19. მიკელე ალბორეტო (იტალია, ფოდუორგი") — 42; 20. აგური სუზუკი (იაპონია, „ლოლა") — 25; 21. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუზი") — 13; 22. ანდრეა დე ჩეზარი (იტალია, „ჯორდანი") — 12; 23. გაბრიელე ტარკუინი (იტალია, AGS) — 10; 24. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი") — 10; 25. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ტირელი") — 8; 26. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი") — პირველივე წრეზე გამოეთიშა.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. მაკლარენი — 50; 2. ფერარი — 16; 3. უილიამსი — 12; 4. ბენეტონი — 9; 5-6. ტირელი და დალარა — 5-5; 7-8. მინარდი და ლოტუსი — 3-3; 9. ლოლა — 1.

ბორის მიხაილოვი,
საკდესის კორესპონდენტი
სპეციალურად „სარბიელისთვის".



| # | პილოტი | გუნდი | აშშ | ბრაზილია | სან-მარინო | მონაკო | კანადა | მექსიკა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | ესპანეთი | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა<br>ბრაზილია | მაკლარენი | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | 40 |
| 2 | ალენ პროსტი<br>საფრანგეთი | ფერარი | 6 | 3 | — | 2 | | | | | | | | | | | | | 11 |
| 3 | გერჰარდ ბერგერი<br>ავსტრია | მაკლარენი | — | 4 | 6 | — | | | | | | | | | | | | | 10 |
| 4 | ნელსონ პიკე<br>ბრაზილია | ბენეტონი | 4 | 2 | — | — | | | | | | | | | | | | | 6 |
| 5 | რიკარდო პატრეზე<br>იტალია | უილიამსი | — | 6 | — | — | | | | | | | | | | | | | 6 |
| 6 | ნაიჯელ მენსელი<br>დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | — | — | — | 6 | | | | | | | | | | | | | 6 |
| 7 | ჟან ალეზი<br>საფრანგეთი | ფერარი | — | 1 | — | 4 | | | | | | | | | | | | | 5 |
| 8 | ირკი ლეჰტო<br>ფინეთი | დალარა | — | — | 4 | — | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 | სტეფანო მოდენა<br>იტალია | ტირელი | 3 | — | — | — | | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 | პიერლუიჯი მარტინი<br>იტალია | მინარდი | — | — | 3 | — | | | | | | | | | | | | | 3 |
| 11 | რობერტო მორენო<br>ბრაზილია | ბენეტონი | — | — | — | 3 | | | | | | | | | | | | | 3 |

## ინგლისი

ჩემპიონატის ბოლო ტურში ჩემპიონმა „არსენალმა" პირდაპირ გაანადგურა „კოვენტრი სიტი" 6:1. სამი გოლი გაიტანა შვედმა ფეხბურთელმა ლიმპარმა. გაიმარჯვა „ლივერპულმაც", რომელმაც „ტოტენჰემ ჰოთსპური" დაამარცხა 2:0 (რაში და სპიდი).

„არსენალმა" ჩემპიონის წოდება ჯერ კიდევ გასულ კვირას მოიპოვა, ამიტომაც, მიმომხილველების ყურადღება სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში გამართულმა ბრძოლამ მიიპყრო. პირველ ლიგაში დასარჩენად იბრძოდნენ „ლუტონ თაუნი" და „სანდერლენდი", რომელთაც ბოლო ტურამდე ქულების თანაბარი რაოდენობა და ბურთების თანაბარი სხვაობა ჰქონდათ. „სანდერლენდი" მანჩესტერში ადგილობრივ „სიტის" შეხვდა. მასპინძელთა თავდამსხმელის ქუინის გოლს სტუმრებმა გაბიადინისა და ბენეტის ბურთებით უპასუხეს, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს ისევ ქუინმა აღადგინა წონასწორობა, მეორე ტაიმში კი „მანჩესტერის" მოთამაშემ უაიტმა „სანდერლენდს" ყველა იმედი გადაუწურა 3:2.

„ლუტონმა" შინ მოუგო „დერბი ქაუნთის" (2:0) და შეინარჩუნა ადგილი პირველ ლიგაში. სხვა მატჩები: „ასტონ ვილა" — „ჩელსი" 2:2, „კრისტალ პალასი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 3:0, „ნოტინგემ ფორესტი" — „ლიდს იუნაიტედი" 4:3, „ქუინზ პარკ რეინჯერსი" — „ევერტონი" 1:1, „შეფილდ იუნაიტედი" — „ნორიჩ სიტი" 2:1, „საუთჰემპტონი" — „უიმბლდონი" 1:1.

ამრიგად, მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასზე ინგლისის ღირსებას „არსენალი" დაიცავს, უეფას თასზე — „ლივერპული", ხოლო თასების თასზე „ნოტინგემსა" და „ტოტენჰემს" შორის ფინალური მატჩის გამარჯვებული იასპარეზებს.

პირველი ლიგა დასტოვეს „დერბი ქაუნთიმ" და „სანდერლენდმა". გაისად პირველ ლიგაში 20 გუნდის მაგივრად 22 ითამაშებს. მეორე ლიგაში პირველ სამ ადგილზე გასულმა გუნდებმა — „ოლდემ ათლეტიკმა", „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" და „შეფილდ უენზდეიმ" უკვე მოიპოვეს პირველი ლიგის საგზურები, ხოლო ერთი დარჩენილი ადგილისათვის გადასასვლელ ტურნირში ერთმანეთს შეხვდებიან მეორე ლიგაში მეოთხე-მეშვიდე ადგილებზე გასული გუნდები: „ნოთს ქაუნთი", „მილვოლი", „ბრაიტონი" და „მიდლსბრო".

ინგლისის საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილებამ პირველი ლიგის გაზრდის შესახებ თავიდანვე ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის უკმაყოფილება გამოიწვია. ასოციაცია გუნდების რაოდენობის შემცირების მომხრეა და მას გადაწყვეტილი აქვს 1992 წლიდან 18-გუნდიანი სუპერლიგის შექმნა. ასოციაციის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საჭიროა ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რაც ინგლისის ფეხბურთის დონეს აამაღლებს. სუპერლიგის პროექტი მზადაა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები კლუბებთან და როგორც ასოციაცია ამტკიცებს, 12 კლუბმა უკვე გამოთქვა მზადყოფნა შეუერთდეს სუპერლიგას. საბოლოოდ ეს საკითხი ზაფხულში გადაწყდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არსენალი" | 38 | 24 | 13 | 1 | 74-18 | 83 |
| „ლივერპული" | 38 | 23 | 7 | 8 | 77-40 | 76 |
| „კრისტალ პალასი" | 38 | 20 | 9 | 9 | 50-41 | 69 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 38 | 19 | 7 | 12 | 65-47 | 64 |
| „მანჩესტერ სიტი" | 38 | 17 | 11 | 10 | 64-53 | 62 |

**შენიშვნა: ჩასატარებელი დარჩა ერთი გამოტოვებული მატჩი. საბოლოო ცხრილს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.**

## შოტლანდია

ჩემპიონატის ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ „რეინჯერსი" და „აბერდინი". 8 ქულიანი სხვაობა, რომლითაც „რეინჯერსი" „აბერდინს" ორი თვის წინ უსწრებდა, თვალსა და ხელს შუა გაქრა, ბოლოსწინა ტურში „რეინჯერსის" „მაზერველთან" დიდი ანგარიშით (0:3) დამარცხების შემდეგ „აბერდინი" დაეწია ლიდერს ქულებითა და ბურთების სხვაობის მიხედვით, ხოლო გატანილი ბურთებით გაასწრო კიდეც.

ასე რომ, გადამწყვეტ მატჩში „აბერდინს" ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ სტუმრებს ჩემპიონობის იმედი გადაუწურა ინგლისელმა მარკ ჰეიტლიმ. ჰეიტლიმ, რომელიც აქამდე თავისი გუნდის გულშემატკივრების სიმპათიით არ სარგებლობდა, ორი გოლი გაიტანა (მე-14 და 56-ე წუთებზე) და გამარჯვება მოუტანა „რეინჯერსს" 2:0.

სხვა მატჩები: „დანფერმლინი" — „დანდი იუნაიტედი" 1:0, „ჰართსი" — „მაზერველი" 2:1, „სენტ-ჯონსტონი" — „სელტიკი" 2:3, „სენტ-მირენი" — „ჰიბერნიანი" 1:0.

შოტლანდიის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „დანდი იუნაიტედი" და „მაზერველი". ევროპის ჩემპიონთა თასზე გლაზგოს „რეინჯერსი" ითამაშებს, ხოლო უეფას თასზე „აბერდინი" და „სელტიკი".

მომავალ სეზონში პირველ ლიგაში ათის ნაცვლად თორმეტი გუნდი იასპარეზებს. პირველი ლიგის საგზურები მოიპოვეს „ფოლკერკმა" და „ეარდრიმ".

**1990-91. სეზონის საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 36 | 24 | 7 | 5 | 62-23 | 55 |
| „აბერდინი" | 36 | 22 | 9 | 5 | 62-27 | 53 |
| „სელტიკი" | 36 | 17 | 7 | 12 | 52-38 | 41 |
| „დანდი იუნაიტედი" | 36 | 17 | 7 | 12 | 41-29 | 41 |
| „ჰართსი" | 36 | 14 | 7 | 15 | 48-55 | 35 |
| „მაზერველი" | 36 | 12 | 9 | 15 | 51-49 | 33 |
| „სენტ-ჯონსტონი" | 36 | 11 | 9 | 16 | 41-54 | 31 |
| „დანფერმლინი" | 36 | 8 | 11 | 17 | 38-61 | 27 |
| „ჰიბერნიანი" | 36 | 6 | 13 | 17 | 24-51 | 25 |
| „სენტ-მირენი" | 36 | 5 | 9 | 22 | 28-59 | 19 |

## იტალია

ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „სამპდორია" 3 ქულით უსწრებს „მილანს". 32-ე ტურში „სამპდორია" ტურინში შეხვდა ადგილობრივ „ტორინოს", რომელიც ბოლო ხანს ალმავლობით თამაშობს და უეფას თასზე თამაშის უფლების მოსაპოვებელ ადგილს უმიზნებს. „სამპდორიამ" 32-ე წუთზე გახსნა ანგარიში (ინვერნიცი), მეორე ტაიმში კი რამდენჯერმე მხოლოდ მეკარე პალიუკას ბრწყინვალე თამაშის წყალობით გადაურჩა გოლს. „ტორინომ" მაინც მოახერხა ანგარიშის გათანაბრება: ბრეშანიმ ზუსტად დაარტყა პენალტი 1:1.

„მილანმა" შინ პირდაპირ გაანადგურა „ბოლონია", რომელსაც პირველ ლიგაში დარჩენის თეორიული შანსიც კი დაკარგული აქვს — 6:0. სამი გოლი გაიტანა ჰოლანდიელმა ვან ბასტენმა. გაისად მეორე ლიგაში ითამაშებს „ჩეზენაც", რომელიც შინ დამარცხდა „ატალანტასთან" 0:1 (თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა ბრაზილიელმა ევაირმა).

„ინტერი" დიდი ანგარიშით (0:3) დამარცხდა გენუაში ადგილობრივ „ჯენოასთან". გოლები გაიტანეს რუოტოლომ, სკუჰრავიმ და აგილერამ (პენალტით).

სხვა ანგარიშები: „კალიარი" — „რომა" 0:0, „ლაციო" — „ფიორენტინა" 2:1, „ლეჩე" — „პარმა" 1:0, „ნაპოლი" — „იუვენტუსი" 1:1, „პიზა" — „ბარი" 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამპდორია" | 32 | 19 | 10 | 3 | 51-21 | 48 |
| „მილანი" | 32 | 18 | 9 | 5 | 46-17 | 45 |
| „ინტერი" | 32 | 16 | 10 | 6 | 52-31 | 42 |
| „ჯენოა" | 32 | 13 | 11 | 8 | 49-36 | 37 |
| „ტორინო" | 32 | 12 | 12 | 8 | 40-29 | 36 |

## ფეხბურთის რუქასთან

საფრანგეთის ერ-ერთი უპოპულარესი კლუბი „ბორდო" გაისად მეორე ლიგაში იასპარეზებს. ასე გადაწყვიტა ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ. მანამდე, საფრანგეთის საფეხბურთო ლიგამ უზარმაზარი ვალების გამო მოქმედი წესების მიხედვით „ბორდოს" მეორე ლიგაში გადაყვანა გადაწყვიტა. „ბორდომ" ლიგის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ სასამართლომ მხარი საფრანგეთის ლიგას დაუჭირა.

საფრანგეთის თასის მეოთხედფინალები: „ნანტი"-„მარსელი" 1:2, „როდეზი"-„სოში" 2:1, „ბენიონი"-„ნიორი" 1:0. ნახევარფინალში გავიდნენ ქვეყნის ჩემპიონი „მარსელი" და მეორე ლიგის ორი გუნდი „როდეზი" და „გენიონი". კიდევ ერთი მეოთხედფინალური შეხვედრა („კანი"-„მონაკო") მოგვიანებით გაიმართება.

**ჰოლანდიის ჩემპიონატის გამოტოვებულ მატჩში „აიაქსმა" მოუგო „ტვენტეს" (1:0) და დაეწია „ეინდჰოვენს". ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე, ორივე გუნდს 47-47 ქულა აქვთ.**

# ფიფა-ს კორექტივები შეაქვს

წლების განმავლობაში ოფიციალური სია იმ ფეხბურთელებისა, რომლებმაც ასი და მეტი მატჩი ითამაშეს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში, საერთაშორისო სტატისტიკოსთა უთანხმოებას იწვევდა. ამ მიზეზით 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფიფა-მ კონტროლზე აიყვანა ჩასათვლელი მატჩების რეგისტრაცია და ჩაატარა ერთგვარი გამოძიება. ამის შემდეგ „ასიანთა კლუბის" სიაში გაჩნდა ახალი სახელები, რომელთა შორისაა პერუელი ექტორ ჩუმპიტასი 104 თამაშით. მაგრამ პერუელი სტატისტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ ფეხბურთელს გაცილებით მეტ შეხვედრაში აქვს მიღებული მონაწილეობა ნაკრების რიგებში. ფიფა-ს დავალებით სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ გამოწვლილივით შეამოწმა ყველა ცნობა ჩუმპიტასის შესახებ და გაარკვია, რომ მას ნათამაშები აქვს 111 მატჩში, რომლებიც მთლიანად პასუხობენ ფიფა-ს კრიტერიუმებს.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა სსრ კავშირის ნაკრების რიგი მატჩებისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების საკითხი და დასამტკიცებლად წარუდგინა იგი ფიფა-ს. ამან გარკვეულწილად იმოქმედა ოლეგ ბლოხინის მაჩვენებლებზე. მისი პირადი ანგარიში 109-დან 112 მატჩამდე გაიზარდა.

კორექტირების შემდეგ „ასიანთა კლუბი" ასე გამოიყურება:

1. პიტერ შილტონი (ინგლისი) — 125 თამაში;
2. პატ ჯენინგსი (ჩრ.ირლანდია) — 119;
3. ბიორნ ნორდკვისტი (შვეცია) — 115;
4. დინო ძოფი (იტალია) — 112;
5. ოლეგ ბლოხინი (სსრკ) — 112;
6. ხექტორ ჩუმპიტასი (პერუ) — 111;
7. რობერტ მური (ინგლისი) — 108;
8. ლადისლაუ ბოლონი (რუმინეთი) — 108;
9. რობერტ ჩარლტონი (ინგლისი) — 106;
10. უილიამ რაიტი (ინგლისი) — 105;
11. ჰაინც ჰერმანი (შვეიცარია) — 105;
12. ტორბიერნ სვენსონი (ნორვეგია) — 104;
13. გჟეგოჟ ლიატო (პოლონეთი) — 104;
14. ფრანც ბეკენბაუერი (გფრ) — 103;
15. კაზიმეჟ დეინა (პოლონეთი) — 102;
16. იოაჰიმ შტრაიხი (გდრ) — 102;
17. კენი დალგლიში (შოტლანდია) — 102;
18. მორტენ ოლსენი (დანია) — 102;
19. სუნ ხო ჩოი (ს. კორეა) — 102;
20. იოჟეფ ბოჟიკი (უნგრეთი) — 100;
21. ჯალმა სანტოსი (ბრაზილია) — 100;
22. ჰანს-იურგენ დიორნერი (გდრ) — 100.

თასების თასი

ფინალი

# დაბრუნებაც ამას ჰქვია

**15 მაისი. როტერდამი. „მანჩესტერ იუნ." — „ბარსელონა" 2:1 (0:0)**

**„მანჩესტერ იუნაიტედი": სილი, პალისტერი, ერვინი, ჰეინტსი, ბრუსი, ფილანი, ბლექმორი, რობსონი, შარპი, მაკლეარი, ჰიუზი.**

**„ბარსელონა": ბუსკეტსი, ნანდო, კუმანი, ფერერი, ალესანკო (პინილია, 72), ეუსებიო, ბეგირისტაინი, ბაკერო, გოიკოეჩეა, ხულიო სალინასი, ლაუდრუპი.**

**მსაჯი: კარლსონი (შვეცია).**

**გოლები: ბრუსი (67), ჰიუზი (74), კუმანი (80).**

**გააფრთხილეს: ბაკერო, რობსონი.**

**გააძევეს: ნანდო.**

თასების მფლობელთა თასის ფინალური შეხვედრის წინ, რომელიც გუშინწინ როტერდამის „ფეიენოორდის" სტადიონზე 46000 მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა, „ბარსელონის" მწვრთნელს ჰოლანდიელ იოჰან კრუიფს რთული ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი: ფინალში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ გუნდის წამყვანი მოთამაშეები — დისკვალიფიცირებული ამორი და სუბისარეტა, რომელთაც ბოლო მომენტში ტრავმირებული სტოიჩკოვი მიემატა.

სამაგიეროდ, ტრავმები მოიშუშეს „მანჩესტერის" მეკარემ სილიმ და მცველმა პალისტერმა. გუნდის შოტლანდიელმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ორივე ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში შეიყვანა. წინა მატჩებთან შედარებით ფერგიუსონმა კიდევ ერთი გადანაცვლება მოახდინა: ნახევარდაცვაში ნილ უების ნაცვლად მაიკლ ფილანი დააყენა.

მიმომხილველები დაახლოებით ერთნაირად აფასებდნენ მეტოქე გუნდების შესაძლებლობებს. ამავე აზრისა იყო „ბარსელონის" პრეზიდენტი ნუნიესი, რომელმაც მატჩის წინ თქვა, რომ ორივე გუნდი დაახლოებით თანაბარი ძალისაა, მაგრამ იგი მაინც თავისი გუნდის გამარჯვებას ელოდა.

მატჩი „მანჩესტერის" უპირატესობით დაიწყო. ინგლისელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ბუსკეტსის კართან. მე-10 წუთზე პალისტერის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ მაკლეარი მარტო დარჩა „ბარსელონის" მეკარესთან, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

პირველ ტაიმში ორივე გუნდი სიფრთხილეს იჩენდა და მატჩი საკმაოდ დუნედ მიმდინარეობდა. თამაში მეორე ტაიმში შედარებით გამოცოცხლდა. უპირატესობა კვლავ ინგლისელების მხარეზე იყო, ისინი ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და საგოლე მომენტებსაც მეტს ქმნიდნენ. მატჩის ბედი სულ რაღაც 10 წუთის განმავლობაში გადაწყდა; ინგლისელებმა ორი გოლი გაიტანეს, ორივე გუნდის კაპიტნის ბრაიან რობსონის მონაწილეობით. 67-ე წუთზე რობსონის მიერ დარტყმულმა საჯარიმომ არეულობა შეიტანა „ბარსელონის" მცველთა რიგებში, ამით ისარგებლა ბრუსმა და თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში. ბოლო მომენტში ბურთს ჰიუზიც შეეხო, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, ამის საჭიროება აღარ იყო: ბურთს კარის ხაზი უკვე გადაეკვეთა და გოლი ბრუსს ჩაუთვალეს. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურმა მცველმა ბრუსმა თასების თასის წლევანდელ გათამაშებაში 5 გოლი გაიტანა.



ეს ფოტორეპროდუქცია გაკეთებულია 1990 წლის ინგლისის თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის" გამარჯვების შემდეგ გადაღებული სურათიდან. მანჩესტერელები ზეიმობენ საპატიო პრიზის დასაკუთრებას, რის შემდეგაც თასების თასზე გამოსვლის უფლებაც მიიღეს.

გაშვებული ბურთის შემდეგ ესპანელები გააქტიურდნენ და მეტოქის კართან პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს. კრუიფმა მოედანზე ალესანკოს ნაცვლად კიდევ ერთი თავდამსხმელი — პინილია გამოიყვანა. შეტევაზე გადასულმა ბარსელონელებმა ყურადღება მოადუნეს, რაც ძვირად დაუჯდათ. რობსონმა გარღვევაზე გაიყვანა ჰიუზი, რომელმაც გვერდი აუარა ბუსკეტსს და მახვილი კუთხიდან დაარტყა თავისი ყოფილი გუნდის კარში — 2:0.

მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ჰოლანდიელმა რონალდ კუმანმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა. კუმანმა დაახლოებით 35 მეტრის მანძილიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. ერთი წუთის შემდეგ ესპანელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა და ბურთი არ ჩათვალა.

84-ე წუთზე „ბარსელონის" მცველმა ნანდომ საჯარიმო წითელი ბარათი დაიმსახურა. კატალონიელი ფეხბურთელები ათნი დარჩნენ, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ შეტევებს და მატჩის ბოლო წუთებზე ანგარიშის გათანაბრების აშკარა შესაძლებლობა გაუშვეს: ლაუდრუპის დარტყმა ბლექმორმა კარის ხაზიდან გამოიტანა.

15 ათასი ინგლისელი „ფენი" საფინალო სასტვენს „მანჩესტერის" ჰიმნის სიმღერით შეხვდა. „მანჩესტერმა" გუნდის ისტორიაში პირველად მოიპოვა თასების თასი. საპატიო ჯილდო ბრაინ რობსონს უეფა-ს პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა გადასცა.




# საერთაშორისო კონტაქტები

„სარბიელსა" და პოლონეთის ერთ-ერთ ავტორიტეტიან გაზეთ „სპორტს" შორის თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები გადაიდგა! მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალითაც „სპორტი" (ქალაქ კატოვიცეში გამოიცემა) და „სარბიელი" სისტემატურად მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციასა და ფოტომასალას. გარდა ამისა, პერიოდულად მოხდება ჟურნალისტთა გაცვლაც. ეს თანამშრომლობის პირველი ეტაპია და მისი გაფართოების პერსპექტივაც არსებობს.

ყოველივე ეს, იმედია, პირველ რიგში, ქართული სპორტის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეს წაადგება.

# ყველაზე ძველი რეკორდი

უკვე 57 წელია ტორონტოელი ბუშერ ჯონსონის სახელი ჩრდილოეთ ამერიკის ჰოკეის ეროვნული ლიგის რეკორდსმენთა სიაშია შეტანილი. 1934 წელს მან ნჰლ-ის ჩემპიონატის მატჩის ერთ პერიოდში ოთხი შაიბა გაიტანა. მას შემდეგ ტორონტოელი სპორტსმენის რეკორდი რამდენჯერმე, როგორც იტყვიან, ბეწვზე ეკიდა, მაგრამ დღემდე მაინც უცვლელი დარჩა.

მართალია, ჯონსონის მიღწევას „თანაავტორები" გამოუჩნდნენ. ესენი არიან სახელგანთქმული ვარსკვლავები უეინ გრეცკი (1981) და ბრაიან ტროტიე (1982). უკანასკნელად ამგვარი შედეგით გულშემატკივრები 1989 წელს გაახარა „კალგარი ფლეიმზის" წევრმა ჯო ნიუვენდიკმა.

იგივე შედეგი ორჯერ აღინიშნა სტენლის თასის გათამაშების მატჩებშიც. 1985 წელს „ფილადელფია ფლაიერზის" წევრმა ტიმ კერმა და 1989 წელს „პიტსბურგ პინგვინზის" მოთამაშე მარიო ლემიემ ერთ პერიოდში ოთხჯერ აიღეს მეტოქის კარი.

# გასაჩივრებას ექვემდებარება



1959 წელი. ინგემარ იუჰანსონი ნოკაუტში გზავნის ფლოიდ პატერსონს.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ინგემარ იუჰანსონი 1200 დოლარით დააჯარიმეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გამართული ჩხუბისათვის.

შვედი ინგემარ იუჰანსონი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1959 წელს, როცა უძლიერესის ტიტული ჩამოართვა ამერიკელ ფლოიდ პატერსონს. ერთი წლის შემდეგ პატერსონმა დაიბრუნა გვირგვინი, როცა საპასუხო შეხვედრაში დაამარცხა სკანდინაველი სპორტსმენი. მთელი ეს წლები ექს-პროფესიონალი დიდად პოპულარული კაცია თავის სამშობლოში. მას ყველგან ბევრი მეგობარი ჰყავს, მაგრამ, როგორც ახლახან გამოირკვა, მტრებიც ჰყოლია. მათგან ორმა სკანდალში ჩაითრია რესტორანში სასადილოდ შესული იუჰანსონი. „საუბარი" იმით დამთავრდა, რომ ვეტერანმა ჭკუა ასწავლა აგრესიულად განწყობილ „ყოჩაღ ბიჭებს".

— სხვა გამოსავალი არ მქონდა. ვიცოდი, ჩემი თავის მეტი ვერავინ გამომესარჩლებოდა, — თქვა ინგემარ იუჰანსონმა, როცა სტოკჰოლმის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა.

# პოლგარების ზოგიერთი საიდუმლო



### 3. მშობლები საუკეთესო მასწავლებლები არიან

ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ოჯახი თამაშობს. ოჯახური აღზრდის ხანგრძლივ პროცესს ხელს უწყობს ღრმა ემოციური დამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის (საყოველთაოდ ცნობილია, რომ პატარებში გრძნობები ჭარბობს). ბავშვისათვის ოჯახი ის პირველი გარემოა, რომელთანაც იგი ურთიერთმოქმედებს. ოჯახის წევრები მის აღქმაში პირველი მოდელები არიან. სწორედ ოჯახურ ჩარჩოებში ყალიბდება ბავშვის თვითშეგნება. ოპტიმალურად გვესახება 3-4 ბავშვიანი ოჯახი. იგი იძლევა ურთიერთადაპტაციის, ჯანსაღი კონკურენციის, ურთიერთდახმარების საშუალებას...

ყველა მშობელს სურს, რომ მისი შვილის ნიჭი მთლიანად განვითარდეს. როცა განსაკუთრებული შესაძლებლობების ადრეულ გამოვლენას ვხვდებით, ყოველთვის შეიძლება იმის კონსტატირება, რომ ან თვით მშობლები, ან პედაგოგები დიდი გულმოდგინებით ავითარებდნენ ამ შესაძლებლობებს.

გერმანელი პედაგოგის გერმან ნოლის აზრით, ბავშვის ტალანტად აღზრდის ჭეშმარიტი ბაზა არის „უფროსის გულისხმიერი დამოკიდებულება მოზარდისადმი საკუთარ ცხოვრებასა და ფორმასთან მის მისაახლოებლად". გასაკვირი არ არის, რომ ასეთი უფროსის როლში ერთ-ერთი მშობელი გვევლინება.

### 4. როგორ ვზრდით ჩვენ?

ვფიქრობ, უწინარესად საინტერესოა, ხასიათის რა თავისებურებების განვითარებას ვცდილობდით შეგნებულად ბავშვებში. ეს არის, მაგალითად, ნდობა, სიმამაცე, მხნეობა, ძალა, შეუდრეკელობა, ენთუზიაზმი, ობიექტურობა საქმისა და ადამიანების შეფასებაში, სიზუსტე დაკვირვების დროს, ჯიუტი მცდელობა, მოთმინება, გამომგონებლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო კრიტიკის ატანის ჩვევის გამომუშავება, მიდრეკილება გონებრივი დატვირთვისაკენ, შემოქმედების წყურვილი, რეალისტური მიზნების ფიქსაცია.

გარდა ამისა, ტალანტს აუცილებლად სჭირდება ინტუიციის გამოვლენის უნარი, ძალების აღდგენის შეგნებულად მართვის პროცესი, შაბლონებისაგან თავის დაღწევა, მიდრეკილება ანალიზისაკენ, აქტიური კვლევისაკენ, აბსტრაქტული აზროვნება, საკუთარი ტალანტის აღქმა, ინიციატივიანობა. სულიერი ცხოვრების სიამე — გართობა, კარიერიზმი და ა.შ. არ უნდა დადგეს შემოქმედებით მუშაობაზე მაღლა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში სუფევდეს ურთიერთპატივისცემა. ჩვენი აღმზრდელობითი პრინციპები განსხვავებულია საერთოდ მიღებულისაგან. ჩვენ მიგვაჩნია: აუცილებელია 4-5 წლის ბავშვებს ვასწავლოთ „სერიოზულად თამაში".

ადრეულ ასაკშივე ბავშვები წავიყვანეთ ცოდნის გაღრმავების, აღმოჩენებისა და უცხო ენების შესწავლის სილამაზის შეცნობის გზით.

ყოველთვის ვცდილობდით ჩვენს ბავშვებზე მოქმედ გავლენათა მეცნიერულ ორგანიზებას. ჩვენი შვილებით, როგორც ადამიანებით, აღფრთოვანებულნი ვართ. ყოველთვის ვაღიარებთ მათ მიღწევებს, რაც განამტკიცებს მათ თავდაჯერებულობასა და ჯანსაღ ამბიციებს (ბავშვებს ძალიან მოსწონთ, როცა მათი მიღწევებით სხვები აღფრთოვანებულნი არიან, თუმცა ვის არ უყვარს ეს?).

სწავლასა და ჭადრაკის თამაშში წინსვლა გოგონებს საშუალებას აძლევს დაკვირვება აწარმოონ საკუთარ პროგრესზე. ისინი რწმუნდებიან, რომ მათი წარმატებების საიდუმლო სისტემატურ და ბეჯით სწავლაშია. ყოველთვის მოუთმენლად ელიან მწვრთნელებისა და პარტნიორების გამოჩენას. შეჯიბრება ძალიან მოსწონთ. ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ გულმოდგინე მეცადინეობით შეუძლიათ მაღალ შედეგს მიაღწიონ. ამავე დროს ხაზს ვუსვამთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი ქვეყანაზე ერთადერთია და ამიტომ უმჯობესია მიზნად მსოფლიო ჩემპიონობა დაისახო. გასაგებია, ეს ყველაფერი ოცნებაა, მაგრამ ამ ოცნების მეტნაკლებად ასრულება თვით გოგონებზე და მათ მწვრთნელებზეა დამოკიდებული.

დიდ როლს თამაშობს სოციალური პირობებიც, რომელიც ხან ეხმარება ტალანტებს, ხან კი ხელს უშლის.

### 5. ადრეული სპეციალიზაცია

რატომ გადავწყვიტეთ ადრევე მიგვეცა სპეციალობა ჩვენი ბავშვებისათვის? ცნობილია, რომ თანამედროვე საზოგადოებას ესაჭიროება სპეციალისტები ღრმა პროფესიული ცოდნით შედარებით ვიწრო სფეროში, სადაც ისინი შეძლებენ გააკეთონ რაიმე მნიშვნელოვანი. ამ მაღალი შედეგების მისაღწევად მოქმედების დაწყება ადრეულ ასაკშივეა აუცილებელი.

ამიტომ ჩვენი ბავშვების დროის უმეტესი ნაწილი მათი საჭადრაკო ნიჭის განვითარებას ეთმობა. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ისინი 25-30 წელს მიაღწევენ.

სპეციალობის ქონა სრულებითაც არ ნიშნავს სულიერ შემოსაზღვრულობას. მაგალითად, ჟუჟა მშობლიურის გარდა ლაპარაკობს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, ბულგარულ, ესპანურ, ესპერანტოს ენებზე. სამივეს უყვარს მოგზაურობა, მეგობრები.

იქნებ უფრო სწორი იქნებოდა, ცხოვრების გზის შესაძლებლობა მოგვიანებით, 15-18 წლის ასაკში მისცემოდათ, როცა მათ წინაშე ჰორიზონტი უფრო ფართოდ გადაიშლებოდა? უნდა გახსოვდეს, რომ არა მარტო მოჭადრაკეები, გამოჩენილი მეცნიერებიცა და ხელოვნების მოღვაწეებიც თავიანთი სპეციალური მონაცემების განვითარებას ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში იწყებენ.

### 6. ტალანტების აღზრდა სკოლაში

ჩვენი გოგონები სკოლაში არ დადიან, შინ მეცადინეობენ და გამოცდას წლის ბოლოს აბარებენ. რატომ? სკოლაში ბავშვები უაღრესად აგრესიულად არიან განწყობილი მათ მიმართ, ვისაც განსხვავებულად მიიჩნევენ. ბავშვს ვერ დაიცავ გარემოს არაკეთილისმყოფელი გავლენისაგან. და თუ სხვა ბავშვების უხეში მოქცევა ქვეცნობიერად გავლენას მოახდენს ჩვენს პატარებზე, ეს უკვალოდ არ ჩაივლის. პლუტარქე წერდა: „ბიჭუნები ბაყაყებს თამაშ-თამაშით ისვრიან, მაგრამ ბაყაყები ხომ თამაშ-თამაშით არ იხოცებიან, ისინი ამას სერიოზულად აკეთებენ". თუ გავაანალიზებთ სკოლის პროგრამებს, შევნიშნავთ, რომ ტალანტები რიტმიდან ამოვარდნილი არიან. ბევრი მკვლევარის დაკვირვებით, სკოლის მიერ გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს ნიჭიერი ბავშვები წარუმატებლობამდე მიჰყავს. გარდა ამისა, ბავშვი ვერ იღებს მისი შესაძლებლობების შესაბამის ოპტიმალურ დატვირთვას. სკოლა მისთვის დამღლელი ხდება, რადგან დაბალ დონეზე გათანაბრებას იწვევს. შემოქმედებითი აზროვნება, აღმოჩენები საჭიროა ისე, როგორც ამას ბავშვები შვრებიან. ფრიად საეჭვოა, რომ ამ უნარის განვითარება სკოლას შეეძლოს. დიდი ტალანტი სულიერ საზრდოს პოულობს არა სკოლაში, არამედ მის გარეთ. ნიჭიერი ბავშვისათვის უკვე ათვისებულის ათასჯერ გამეორება ნამდვილი წამებაა. ხშირად ხდება, რომ უგუნური პედაგოგი ანადგურებს იმ ნიჭიერი მოსწავლის ტალანტს, რომელსაც ჯიუტად, თავნებად თვლის. მეტიც, ვერ შენიშნავს რა ბავშვში ტალანტს, იგი უნიჭოდ, მეოცნებედ, ნელა მოაზროვნედ მიაჩნია.

იბადება კითხვა, იქნებ ტალანტს შესწევს უნარი, რომ დამოუკიდებლად გაიკაფოს გზა? არა! ასეთები ძალზე ცოტანი არიან. უნიჭიერესი ბავშვების უმრავლესობა, სამწუხაროდ, კარგავს ამ თვისებებს.

ბავშვების ინტელექტუალური განვითარების ჩარჩოები სასკოლო პროგრამებითა თუ მეთოდებით განისაზღვრება და არა ადამიანის ტვინის ბუნებრივი ჰორიზონტებით.

ბავშვებს სკოლაში უფროსებთან საკმარისი კონტაქტი არა აქვთ, მხოლოდ თანატოლების წრეში ხეტიალი კი ამცირებს ფართო განათლების მიღების შესაძლებლობას.

აი, რატომ გადავწყვიტეთ, რომ გოგონების აღზრდის საქმეში არატრადიციული გზით წავსულიყავით.

(გაგრძელება. დასაწყისი მე-18 ნომერში)

# აქეთური, იქითური...

რინგზე დაბრუნებული ჯორჯ ფორმენისა და ლარი ჰოლმსის მიღწევებით გამხნევებულმა სპორტული კარიერის განახლების შესახებ განცხადება გააკეთა კიდევ ერთმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ლეონ სპინქსმა. 37 წლის მოკრივე ემზადება პირველი შეხვედრისათვის. მისი მეტოქე იქნება ჰეროლდ რეიტმანი, რომელიც სპინქსზე 4 წლით უფროსია და პროფესიული კარიერა სულ ორი წლის წინ დაიწყო.

■ ■ ■

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა „სოლინგის" კლასის იახტებით რბოლაში, ყოფილი გდრ-ის სპორტსმენმა იოჰენ შუმანმა განაცხადა, რომ მზად არის იბრძოლოს ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოსათვის. 36 წლის ბერლინელი სპორტსმენი ამჟამად ფლენსბურგში მუშაობს, გემთსაშენში, სადაც იახტებს აგებენ. სავარაუდოა, რომ ოლიმპიადაზე შუმანი საკუთარი კონსტრუქციის „სოლინგით" იასპარეზებს.

■ ■ ■

29 წლის მაგდებურგელი ათლეტი ფრანკ ემელმანი კვლავ დაუბრუნდა სარბენ ბილიკებს და ევროპის უძლიერეს სპრინტერთა რიგებში ჩადგომაზე ოცნებობს. მძლეოსნობაში შესვენება გამოწვეული იყო ცნობილი სპორტსმენის გატაცებით ამერიკული ფეხბურთით, რაც მისთვის ოთხი ოპერაციით დასრულდა. ამჟამად ემელმანი ჯანმრთელად გრძნობს თავს, ინტენსიურად ვარჯიშობს და სურს გაერთიანებული გერმანიის სახელით მიიღოს მონაწილეობა 1992 წლის ოლიმპიადაში.

■ ■ ■

ჩოგბურთში საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ მკაცრი დოპინგ-კონტროლი დააწესონ მომავალ შეჯიბრებაზე. ამ მიზნით „როლან გაროსის" ტურნირის წინასწარ შეხვედრებში დოპინგ-კონტროლს გაივლის 60 სპორტსმენი, ხოლო მეოთხედფინალიდან დაწყებული ტესტი ჩაუტარდება უკლებლივ ყველა ჩოგბურთელს.

■ ■ ■

საფეხბურთო კლუბ „დანდი იუნაიტედის" 29 წლის კაპიტანი და შოტლანდიის ნაკრების მცველი მორის მელპასი დასახელებულია ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ასეთი შედეგით დასრულდა რეფერენდუმი, რომელიც შოტლანდიის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩაატარა.

■ ■ ■

ბულგარეთის ფიზიკური კულტურის კავშირმა სტიმულატორების ხმარებაში ამხილა სეულის 1989 წლის ოლიმპიადაში გამარჯვებული ძალოსანი ბორისლავს გიდიკოვი. აღსანიშნავია, რომ დოპინგ-კონტროლი ჩატარდა სახლში ვარჯიშის დროს. სპორტსმენი დისკვალიფიცირებულია წელიწადნახევრით.

■ ■ ■

„სამხრეთ კორეას რეალური შანსი აქვს უმასპინძლოს 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში", — ასე თვლის ფიფა-ს პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟი. თავის მოსაზრებას იგი იმით ასაბუთებს, რომ ამ ქვეყანაში 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციამ ძალზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

■ ■ ■

ცნობილმა საფეხბურთო მწვრთნელმა სტეფან კოვაჩმა, რომელიც თავის დროზე ლეგენდარულ „აიაქსთან" მუშაობდა, წინადადება მიიღო მომავალი სეზონიდან ტექნიკური მრჩევლის რანგში უხელმძღვანელოს საფრანგეთის კლუბ „ნანსის".

აქეთური, იქითური...

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"

გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჟუჟუნაძე.